# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 22 თებერვალი, 2011 წელი.

№34 (6646)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




## სააკაშვილის უკანასკნელი შანსი!

2

იმ შემთხვევაში, თუ ახალი სტრატეგიული პროექტის გარშემო, წინასწარი კონსულტაციების შედეგად დასავლეთსა და რუსეთს შორის მოხდა შეთანხმება, მაშინ პრეზიდენტი სააკაშვილი უნდა გადადგეს

## რატომ არ ელოდება ნოდარ ჯავახიშვილი საქართველოში ცვლილებებს?



2

ხალხს თავისი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს

## ცოდვას რას უზამთ, სად გაექცევით?..

5

## პრეზიდენტი ინფლიაციას ინფლაციით „ამარცხებს“!

6



## პირველი კონსტიტუცია - დამოუკიდებლობის და დემოკრატიულობის სიმბოლო



3

## ვინ გაარღვევს უსულგულობისა და უსამართლობის ყრუ კედელს?

3

## ზაფხულს, ალბათ, ცოცხლები შევეგებებით, თუ ყველაზე მშიერმა გაზაფხულმა არ შეგვიწირა



6

## ხელისუფალნი მხოლოდ მაშინ მიხვდებიან ადვოკატის მნიშვნელობას, როდესაც თავად დასჭირდებათ მათი მომსახურება

9

## ხუთი მიზეზი, თუ რატომ წააგო საქართველომ აგვისტოს ომი

8



დასუფთავების სამსახური დასასუფთავებელია

იწყება აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის აღწერა

საქართველო რუსეთს აკრიტიკებდა, თავად კი იმავეს სჩადის

2

ოპოზიცია

# რატომ არ ელოდება ნოდარ ჯავახიშვილი საქართველოში ცვლილებებს?..

## ხალხს თავისი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს

**ხარისხის კონტროლის შესახებ კანონი 2011 წლიდან უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ კიდევ დიდი ხნით – 2015 წლამდე გადაიწია. ევროკავშირი მკაცრად ითხოვს ხარისხის კონტროლის რეგულაციას, თუმცა რატომღაც ეს საკითხი დროში იწელება. აბსოლუტურად მეწარმის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული, რას მიაწვდის მომხმარებელს, რაც საკმაოდ კურიოზული მოვლენაა.**



ეკონომიკის ექსპერტი ნოდარ ჯავახიშვილი ამბობს, რომ „ეროვნულმა ფორუმმა" თავის დროზე ხელისუფლებას მოსთხოვა, გენმოდიფიცირებულ პროდუქციაზე წარწერა მაინც ყოფილიყო, რომ მომხმარებელს არჩევანის საშუალება მისცემოდა, თუმცა ამ რეგულაციაზე ხელისუფლება არ წამოვიდა. ასე რომ გენმოდიფიცირებულ საკვებში, შეიძლება იმაზე ძვირსაც კი იხდიდეს მომხმარებელი, ვიდრე ნატურალურში. „200-მდე ადგილობრივ წარმოებას შევამოწმებთ, მაგრამ ეს იქნება ფარული, თანაც სანქციებს არ მივუყენებთ, რადგან კანონი არ არსებობსო". კი, მაგრამ, იმ საწარმოების სია ხომ შეიძლება გამოქვეყნდეს, რომელსაც რაღაც დარღვევები აქვს, აქედან მაინც ხომ შეიძლება გავაკეთო დასკვნა და მოვერიდო ამ წარმოების შექმნილ პროდუქციას?!", – ამბობს ნოდარ ჯავახიშვილი, რომელიც ხელისუფლების ქმედებით აღშფოთებულია. ამ ყველაფერში ექსპერტი მოზანმიმართულ პოლიტიკას ხედავს, რომელიც ერის გადაგვარებისკენ არის მიმართული. „ხშირად საუბრობენ ხოლმე შეთქმულების თეორიებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ის რეალურად არსებობს. ეკონომიკური პოლიტიკაც სწორედ იქითკენ არის მიმართული, რომ ერი გადაგვარდეს, საქართველოს ტერიტორიაზე ქართველების შემცირება, მათთვის ღირსებისა და პატივის აყრა მოხდეს. ეს გეგმა მიღწეულია. ფაქტობრივად, დღეს არა ვართ ქართველები ისეთი, როგორებიც ვიყავით 20-30 წლის წინათ, მით უმეტეს, არა ვართ ისეთი, როგორებიც ვიყავით ისტორიულად. ვერ ვიტყვი, რომ ქართველები ღრმა მართლმადიდებლები გავხდით, მაგრამ ნებისმიერი ქმედება არ იწვევს უკუქმედებას, რაც მეტ გაჭირვებაში გვაგდებს ხელისუფალი, მით უფრო ღრმა ფორმას იძენს შეგუება".

ექსპერტის აზრით, ხალხის აღშფოთებაც ნელდება, ამიტომ რაიმე მძიმე ფორმით სოციალური აფეთქება მოსალოდნელი არ არის. ინფლაცია, კორუფცია, მონოპოლიური სტრუქტურების კარტელური შეთანხმება, უხარისხო, გენმოდიფიცირებული პროდუქცია თუ სხვა, მაინცდამაინც ხალხის საერთო პროტესტის საბაბად ვერ იქცა. ნოდარ ჯავახიშვილი უკმაყოფილოა იმითაც, რომ საზოგადოება ოპოზიციურ ძალებს ელოდება და როცა ასეთ აქტიურობას ვერ ხედავს, ინდიფერენტული ხდება, საკუთარ პასუხისმგებლობას ვერ ხედავს და ბრალს მხოლოდ ოპოზიციას სდებს. „ბევრი ახლობელი მეუბნება, სააკაშვილმა მომატყუა, შევცდი, რომ ავირჩიეო. კი მაგრამ ერთხელ მოგატყუა, მეორედ, მესამედ, ეს შენს ღირსებაზე სულაც არ მიუთითებს. მე თუ უნამუსოდ მერამდენედ გატყუებ, შენ დეგენერატი არა ხარ? სააკაშვილი რომ აირჩიე, მისი ბიოგრაფია წაიკითხე, არა? აბა, რა მოტყუვდი. კი არ მოტყუვდი, უპასუხისმგებლოდ მოეპყარი ამ საკითხს", – ამბობს ექსპერტი. ის გაოპოზიციონერებული ყოფილი ჩინოვნიკების მხარდამჭერებსაც კიცხავს: „სულ მინდა ვკითხო იმ ვაჟკაც ხალხს, დღეს ნოღაიდელის პარტიას რომ გამოეყვნენ და ამბობენ, მოგვატყუაო. ნოღაიდელი ხომ ყველაზე ლუსტრირებული ადამიანი იყო ხელისუფლებაში. ის არის წმინდა გიორგის ორდენოსანი პრემიერ-მინისტრი. თავისი მინისტრობის დროს ანაბრებზე სიტყვა არ დასცდენია, თითი არ გაუნძრევია. მოვიდა ოპოზიციაში და გეუბნება, ანაბრებს დაგიბრუნებო, ვერ უნდა მიხვდე, რომ იტყუება?!"

ყველაზე მეტად ექსპერტს საზოგადოების მანკიერებისადმი დამოკიდებულება აღშფოთებს: „ხალხი იმიტომ კი არ არის უკმაყოფილო, რომ ქვეყანაში უმსგავსობა ხდება, არამედ იმიტომ, რომ სხვა ფულს აკეთებს და თვითონ – ვერა. კაცი ღარიბი თუა ე. ი. სულელია, მით უმეტეს, თუ ერთ დროს თანამდებობის პირი იყო. ასეთი მენტალიტეტით წინ ვერ წავალთ. რა ცვლილებებზეა საუბარი, როცა ერი ასეთი ფსიქოლოგიით არის დამუხტული. აი, ეს არის დღევანდელობის პრობლემა", – დასძენს ნოდარ ჯავახიშვილი, რომელიც განსაკუთრებულ რადიკალურ შფოთს საზოგადოების მხრიდან სწორედ ამ მენტალიტეტის გამოისობით არ ელოდება...

**თეა მოსია**

ინფორმაცია

## საქართველო რუსეთს აკრიტიკებდა, თავად კი იმავეს სჩადის

**აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის სამსახურის დირექტორი ჯეიმს კლაპერმა განაცხადა, რომ ოფიციალური თბილისის ბოლო ნაბიჯები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან მიმართებაში არის ფაქტორი, რომლის გამოც რეგიონში შესაძლოა დაძაბულობა გაიზარდოს.**

**ამერიკელ სენატორთა წინაშე სიტყვით გამოსვლის დროს კლაპერმა ამგვარ ფაქტორად ასევე დაასახელა რუსეთის პოზიცია, რომელიც აგრძელებს იმ პრინციპის ერთგულებას, რომლის გამოც მან აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა და რომელიც მათთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებს ამუშავებს.**

**– საქართველოს ღია მცდელობები ჩრდილოკავკასიაში მაცხოვრებელ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან კონტაქტების დამყარებისა, არის ასევე ამ დაძაბულობის ხელისშემწყობი ფაქტორი, – განაცხადა კლაპერმა.**

## იწყება აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის აღწერა

**სეპარატისტულ აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის აღწერა დაიწყო. აღწერა 28 თებერვალს დასრულდება. „აფხაზეთში მოსახლეობის აღწერა, გაეროს მიერ გამოცხადებული მსოფლიოს აღწერის ფარგლებში ტარდება", – განაცხადა აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო სტატისტიკის მმართველმა ზოია ავიძბამ.**

**მისივე ინფორმაციით, დამკვირვებლების სტატუსით აფხაზეთში უკვე იმყოფებიან სეპარატისტული მთავრობის მიერ მოწვეული რუსეთის სტატისტიკის წარმომადგენლები - მოსკოვიდან, ადიღედან, როსტოვიდან და კრასნოდარიდან.**

**აღწერის პირველი ეტაპი სექტემბრის ბოლოს ჩატარდა სოხუმისა და გულრიფშის რაიონების მაღალმთიან სოფლებში, კერძოდ, სოფელ ფსხუსა და კოდორის ხეობაში. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებისას, აფხაზური მხარე აღნიშნავს, რომ კოდორის ხეობაში მოსახლეობის აღწერა 1993 წლიდან პირველად ჩატარდა.**

**აფხაზური მხარე აღნიშნავს, რომ აღწერის ჩატარება საშუალებას მისცემს აფხაზურ მხარეს, განისაზღვროს აფხაზეთში არსებული ნაციონალური შემადგენლობა, განათლების დონე და დასაქმების მაჩვენებელი.**

**აფხაზეთში 680 გადამწერი იმუშავებს. ძირითადად ისინი სკოლის პედაგოგები არიან. მუშაობის რვა დღის განმავლობაში მათ 3,6 ათას რუბლს გადაუხდიან. აღწერაში პედაგოგების მონაწილეობა სასწავლო პროცესზე არ აისახება.**

**გადამწერების უსაფრთხოებას აფხაზეთის ე.წ. შს სამინისტროს თანამშრომლები უზრუნველყოფენ. აფხაზეთში იმოქმედებს 720 გადამწერი უბანი და 40 სტაციონარული გადამწერი უბანი.**

**2003 წელს სეპარატისტებმა პირველად 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდეგ მოსახლეობის აღრიცხვა ჩაატარა (და არა აღწერა).**

**აღრიცხვის თანახმად 2005 წელს აფხაზეთში მაცხოვრებელი ქართველი ეროვნების ადამიანების რაოდენობა 50 ათასს არ აჭარბებდა, მათ შორის იყვნენ დაბრუნებული დევნილები.**

**1989 წელს ჩატარებული აღწერის თანახმად აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 242 ათასი ქართველი ცხოვრობდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

ინფორმაცია

## დასუფთავების სამსახური დასასუფთავებელია

**საკრებულოს რესპუბლიკელი წევრი თინათინ ხიდაშელი დასუფთავების სამსახურში არსებულ პრობლემას გამოეხმაურა.**

**მისი თქმით, რამდენიმე თვეა, დედაქალაქის საკრებულოში დასუფთავების სამსახურის თანამშრომელთა საჩივარი მასში გამეფებული განუკითხაობის, დისკრიმინაციისა და შრომითი უფლებების დარღვევის შესახებ შედის.**

**ხიდაშელი აცხადებს, რომ თანამშრომლებს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ათავისუფლებენ. ამასთან, სამედიცინო დაზღვევა მხოლოდ საარჩევნოდ მისცეს. გარდა ამისა, მათ იანვრიდან სამუშაო ფართობი მოუმატეს, ხელფასი კი შეუმცირეს.**

**– განსაკუთრებით სარისკოა ამ სამსახურის სამი თანამშრომლის ბედი, რომლებიც სამსახურის პოლიტიკას აკრიტიკებდნენ. წარსულში ასეთი „მეამბოხე" თანამშრომლები გაათავისუფლეს, დღეს კი მსგავსი პრობლემის წინაშე ლალი მამოევა, ზარა მუსაევა და დალი ხვადაგიანი აღმოჩნდნენ,– აცხადებს ხიდაშელი.**

**თინა ხიდაშელმა ჟურნალისტებს დასუფთავების სამსახურის სამი თანამშრომელიც წარუდგინა. თანამშრომლების თქმით, ქალაქის მთავრობამ მათ გამწვანების სამსახურის ფუნქციაც დააკისრა და ეთნიკური ნიშნითაც დევნიან.**

**როგორც დასუფთავების სამსახურის ყოფილმა ბრიგადირმა ნუგზარ ქანთარიამ აღნიშნა, 3500 თანამშრომელი მონურ მდგომარეობაში იმყოფება, ამიტომ ისინი დასუფთავების სამსახურის უფროსის ტარიელ ხიზანიშვილის გადადგომას მოითხოვენ.**

## კუბლაშვილმა ხუთი ახალი მოსამართლე წარადგინა

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა ხუთი ახალი მოსამართლე წარადგინა.**

**ნინო ყანჩაველმა, ლაურა მიქავამ, შოთა გეწაძემ, ამირან ძაბუნიძემ,შორენა წიქარიძემ წარმატებით დაასრულეს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული კურსი.**

**ახალი მოსამართლეებიდან ოთხი წლების მანძილზე სასამართლო სისტემაში მუშაობდა, ხოლო ერთი პროკურატურაში.**

**ფიცის დადების შემდეგ ხუთივე მოსამართლე თბილისისა და საქართველოს რეგიონის სასამართლოებში გადანაწილდებიან.**

**სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება სისტემის კვალიფიციური კადრებით შევსებაა.**

ჯი-ეიჩ-ენი

თვალსაზრისი

# პრეზიდენტ სააკაშვილის უკანასკნელი შანსი!

**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთი საშუალება, ჩვენი სახელმწიფოს ნეიტრალიტეტია, რაც დაფუძნებული იქნება საერთაშორისო სამართალზე და რომელსაც ეყოლება საერთაშორისო გარანტები. პოტენციური გარანტორები – რუსეთი, აშშ, ნატო, ევროკავშირი, გაერო. რუსეთის მიერ (რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 20%), დეკლარირებულ „ახალ რეალობას"– აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის აღიარება", – გაანეიტრალებს, დასავლეთისგან მხარდაჭერილი ახალი სტრატეგიული პროექტი. მხედველობაში მაქვს ნეიტრალიტეტის ავსტრიული ვარიანტი** (1955 წლის ავსტრიის მაგალითზე, ავსტრიის დეოკუპაცია – საბჭოთა ჯარების გასვლა. პარალელურად, მოკავშირეებმა: აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, დატოვეს მათ მიერ დაკავებული სექტორები და ავსტრიამ გამოაცხადა ნეიტრალიტეტი, რომლის გარანტებიც 4-ვე მოკავშირე გახდა!), **რომლის სრულუფლებიანი თანამონაწილეც რუსეთი უნდა გახდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ რუსეთის ჩართულობა დასავლეთთან ერთად, ამ პროექტის რეალიზაციის საკითხში არ იქნება პარიტეტული, პროექტი ვერ განხორციელდება უბრალო მიზეზის გამო, – რუსეთი არ გააუქმებს მის მიერ, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის აღიარებას"!**

საქართველოს სეპარატისტული რეგიონების, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის არაღიარების პოლიტიკა დასავლეთის მიერ, ძალიან მნიშვნელოვანია, მეტიც, არსებულ ვითარებაში ერთადერთი ხელისშემშლელი ფაქტორია რუსეთისთვის, რომ არ გაგრძელდეს საქართველოს დეზინტეგრაციის პროცესი. რაც შეეხება, ტერმინ „ოკუპაციის" დამკვიდრებას საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციებში თუ სხვადასხვა სახის დოკუმენტებში, ეს ძალზედ კარგია, მაგრამ იგი ვერ მიგვიყვანს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე (ვერც ჟენევის ფორმატი!). მიმაჩნდა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ, **ახალი კომპრომისული სტრატეგიული პროექტის** შეთავაზების შემთხვევაში (დასავლეთის მონაწილეობით), რუსეთის მმართველები (პუტინი!), წამოვიდოდნენ დასავლეთთან გეოპოლიტიკურ კომპრომისზე. მაგრამ, დრომ გვაჩვენა, რომ **სააკაშვილის და პუტინის დაპირისპირება-მტრობა იმდენად დიდია, რომ მანამდე ის იარსებებს, – საქართველოს გამთლიანების საკითხს, პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიმღები დიდი მოთამაშეები დღის წესრიგში არ დააყენებენ!**

მართალია, რომ საქართველოს პრეზიდენტის გარკვეულწილად შელახული რეპუტაცია 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, დასავლეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტის თვალში გადალახულ იქნა. უმთავრესად, ჩვენი ამერიკელი პარტნიორების დიდი მხარდაჭერის (გადამწყვეტი!) შედეგად. პრეზიდენტ სააკაშვილს მაღალ ევროპულ ტრიბუნებზე (ნატოს სამიტი, ეუთოს სამიტი, ევროპარლამენტი და სხვა) გზა გაეხსნა. ამას დაუმატეთ, ორი ბლიც-შეხვედრა პრეზიდენტ ობამასთან, **მაგრამ, სამწუხაროდ ეს ყოველივე საკმარისი არაა...**

არც, ავღანეთის კამპანიაში საქართველოს მონაწილეობა მიგვიყვანს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე. ნატოს წევრობაც გამორიცხეთ, რუსული ოკუპაციის პირობებში ეს საკითხი არც განიხილება! საქმე ის არის, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რამდენად წარმატებულიც არ უნდა იყოს პრეზიდენტ სააკაშვილის ვიზიტები და გამოსვლები საერთაშორისო ორგანიზაციების ტრიბუნებიდან და როგორი სამშვიდობო ინიციატივებიც არ უნდა გაახმოვანოს მან, – რუსეთს (პუტინს!), მასთან დიალოგი არ სურს! პუტინის პოზიცია სააკაშვილთან დაკავშირებით არ შეიცვლება (ამიტომ უწოდა მას გამწარებულმა სააკაშვილმა, რეპტილია – ნიანგი!)! პუტინის კრემლში დაბრუნების შემთხვევაში, საქართველოს მინიმუმ 10 წლის მანძილზე საქმე ექნება პუტინის რუსეთთან!

იხ. 4 გვ.

ვაჰ, დრონი, დრონი...



# პირველი კონსტიტუცია დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს სიმბოლო იყო

**გუშინ საქართველოს პირველ კონსტიტუციას 90 წელი შეუსრულდა. საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღების ისტორიასა და მნიშვნელობაზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს მალხაზ მაცაბერიძეს ესაუბრა.**



**— 21 თებერვალს 90 წელი შესრულდა საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღებიდან, რას გვეტყოდით ამ ფაქტის შესახებ?**

— 1921 წლის 21 თებერვალს, როდესაც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ თავის საგანგებო სხდომაზე ერთხმად მიიღო კონსტიტუცია, თბილისის მისადგომებთან ბრძოლები მიმდინარეობდა. იმდროინდელ გაზეთებში გამოქვეყნდა მოკლე ცნობები ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ: „გუშინ დამფუძნებელმა კრებამ გამართა საგანგებო სხდომა კონსტიტუციის მისაღებად“, — იუწყებოდა გაზეთი „საქართველო“. „თებერვლის 21-ს საღამოს სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ ზარბაზნების გრიალში და ომის ალში გახვეულმა დაამთავრა კონსტიტუციის განხილვა და საბოლოოდ მიიღო ის“, — აღნიშნავდა „სახალხო საქმე“. გაზეთი „ერთობა“ წერდა: „ზარბაზნების დგანდგარში და ტყვიის ზუზუნში მოუხდა დამფუძნებელ კრებას დაწყებული საშვილიშვილო საქმის დამთავრება... დღეს საქართველოს აქვს თავის კონსტიტუცია, თავისი პოლიტიკური სახე, რომლითაც იგი თამამად და ამაყად წარდგება მსოფლიოს წინაშე“.

1921 წლის 21 თებერვალს, როდესაც კონსტიტუციას ღებულობდნენ, ქართული საზოგადოების განწყობა არ ყოფილა დამარცხების გარდუვალობით გამსჭვალული. პირიქით, ფიქრობდნენ, რომ მტრის შემოტევის მოგერიება ამჯერადაც მოხერხდებოდა და საქართველო შეძლებდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზის გაგრძელებას.

კონსტიტუციის პროექტის განხილვა დამფუძნებელმა კრებამ 1920 წლის 24 ნოემბერს დაიწყო. იმდროინდელ მმართველ პარტიას, სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც დამფუძნებელ კრებაში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰქონდათ, შეეძლოთ კონსტიტუციის მიღება მოკლე ვადაში, მაგრამ საჭიროდ ჩათვალეს კონსტიტუციურ საკითხებზე ფართო დისკუსიის გამართვა და ყველა ოპოზიციურ ძალას მიეცა საშუალება თავისი მოსაზრებები დაწვრილებით წარმოედგინათ. ამან, ბუნებრივია, კონსტიტუციის მიღება გააჭიანურა

საბჭოთა რუსეთის თავდასხმა რომ არა, კონსტიტუციის მიღებას, სადღაც გაზაფხულზე დაამთავრებდნენ, შეიძლება 12 მარტისთვის — დამფუძნებელი კრების გახსნის დღისთვისაც დაემთხვიათ. შემოდგომაზე კი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდებოდა. კონსტიტუციის 61-ე მუხლში ნათქვამი იყო: „პარლამენტი იკრიბება ყოველწლივ ნოემბრის პირველ კვირა დღეს. ახალი პარლამენტის არჩევნები ინიშნება შემოდგომაზე, ერთსა და იმავე დროს მთელს რესპუბლიკაში, იმ ვარაუდით, რომ ახლად არჩეული დეპუტატები დაესწრნენ პარლამენტის გახსნას“.

სამწუხაროდ, მოვლენები, სხვანაირად წარიმართა..

**— ისე გამოვიდა, რომ ამ კონსტიტუციით საქართველომ ცხოვრება ვერ მოასწრო, 25 თებერვალს ხომ თბილისში რუსეთის წითელი არმიის ნაწილები შემოვიდნენ და ეს დღე საქართველოს გასაბჭოების თარიღად იყო მიჩნეული.**

— 1921 წლის 25 თებერვალს, რუსეთ-საქართველოს ომი არ დამთავრებულა და ის კიდევ დაახლოებით სამი კვირა გაგრძელდა და ქართულ არმიას გარდა ბოლშევიკებისა, თურქების წინააღმდეგაც მოუხდათ ბრძოლა.

რაც შეეხება 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით ცხოვრებას, ამ კონსტიტუციის უშუალო მოქმედების პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ მოკლე დრო — 21 თებერვლიდან 17 მარტამდე, როდესაც ბათუმში მყოფმა საქართველოს მთავრობამ დატოვა ქვეყნის ტერიტორია. აღსანიშნავია ისიც, რომ ომის პირობებში მიღებული კონსტიტუციის ტექსტი ცალკე ბროშურად ბათუმში გამოიცა.

რა თქმა უნდა, ომის პირობებში კონსტიტუციის სრულფასოვან მუშაობაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების დროს მნიშვნელოვანწილად ეყრდნობოდნენ იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების პრაქტიკას. ის ინსტიტუტები და პოლიტიკური ცხოვრების წესები, ადამიანის უფლებები, მოკლედ თითქმის ყველაფერი, რასაც ამკვიდრებდა 1921 წლის კონსტიტუცია, ფაქტობრივად, არსებობდა და მოქმედებდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საქართველოს საბჭოურმა ოკუპაციამ და კომუნიზმის მშენებლობის ბოლშევიკურმა ექსპერიმენტმა მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველო და ის რეალობა, რასაც ემყარებოდა 1921 წლის კონსტიტუცია.

**— როგორი უნდა ყოფილიყო საქართველო 1921 წლის კონსტიტუციის თანახმად?**

— საქართველოს დამფუძნებელ კრებაში დომინირებდნენ სოციალისტური პარტიები, მარტო სოციალ-დემოკრატიულ პარტიას 130-წევრიან დამფუძნებელ კრებაში 103 ადგილი ჰქონდა მოპოვებული. შესაბამისად, კონსტიტუციის შემუშავების დროს მნიშვნელოვანწილად გათვალისწინებული იყო ამ პარტიის იდეოლოგიური და პოლიტიკური დოქტრინა. იმდროინდელ მმართველ პარტიას მიაჩნდა, რომ არსებულ პირობებში, საქართველოში შეუძლებელი იყო მათი პარტიული დოქტრინით გათვალისწინებული „სოციალიზმის მშენებლობაზე“ გადასვლა.

იხ. 4 გვ.

ღია წერილი

# ვინ გაარღვევს უსულგულობისა და უსამართლობის ყრუ კედელს?

**თებერვალში დევნილთა გამოსახლებასთან დაკავშირებით განცხადება გამოაქვეყნა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარმა ანტონიო გუტერესმა, რითიც შელახა და ეჭვქვეშ დააყენა თავისი რეპუტაცია, შეურაცხყო, დააბნია და გააღიზიანა საზოგადოება, ომით დაზარალებულებს, დევნილებსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს აფიქრებინა, რომ გლუკის წარმომადგენლობის როლი მხოლოდ ხელისუფლების უკანონო ქმედებების გამართლებაა.**

**საქართველოში მოქმედმა 8 არასამთავრობო ორგანიზაციამ საპასუხო ღია წერილით მიმართა მას:**

„ჩვენ გამოვთქვამთ გულისტკივილს ზემოთქმულთან დაკავშირებით და ვაცხადებთ, რომ უნდა აღიკვეთოს მსგავსი პრაქტიკა, როდესაც უკანონო ქმედებების გასამართლებლად ხელისუფლება გლუკის წარმომადგენლობისკენ იშვერს ხელს ან მის განცხადებას ეფარება,“ — ნათქვამია ღია წერილში.

არასამთავრობო ორგანიზაციები შეშფოთებული არიან ამ განცხადებით, „ვერ გავერკვიეთ, რას დააკვირდა გლუკი — დევნილთა გამოსახლებას თუ გადაყვანას...“

გლუკის წარმომადგენლობა საქართველოში აქვეყნებს ოფიციალურ განცხადებას ისე, რომ იმავდროულად საზოგადოებამ არ იცის, როგორია მათი დაკვირვების ოფიციალური შედეგები, სტატისტიკა; რა მეთოდოლოგია გამოიყენეს დაკვირვების განსახორციელებლად, როგორი იყო დაკვირვების ფარგლები, რას აკვირდებოდნენ: გამოსახლებას, გადაყვანას თუ განსახლებას, ან იქნებ ყველაფერს ერთად? — ნათქვამია განცხადებაში.

იქვე აღნიშნულია, რომ გლუკი ზოგადი ტერმინებით შემოიფარგლა და გამოსახლებისას არაპროპორციული ძალის გამოყენება, საკუთარი დაკვირვების ნაცვლად, გლუკმა მხოლოდ მედიამასალების საფუძველზე დაადასტურა - „გლუკი არაფერს ამბობს გამოსახლების პროცესის შესაბამისობაზე საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან.“

ასევე დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა გლუკის განცხადება: „ფინანსური კომპენსაცია გადაეცათ მათ, ვისაც ეკუთვნოდა და ვინც დროულად შეავსო განაცხადი“.

**„ჩვენ კვლავ ვიმეორებთ, რომ დღემდე საზოგადოებამ და დაინტერესებულმა პირებმა არ იციან, თუ კონკრეტულად რამდენმა ოჯახმა მიიღო ფინანსური კომპენსაცია, რამდენი ელოდება, როდის მიიღებს მას და რას ნიშნავს განაცხადის დროული შევსება, — განმარტავენ არასამთავრობო ორგანიზაციები, — ასევე უსაფუძვლოა საქართველოში გლუკის წარმომადგენლობის განცხადება — შეთავაზებული საცხოვრებელი ადგილების ვარიანტების, მათი მზაობისა და განსახლებისთვის შესაფერისობის შესახებ.**

დევნილებს და დაინტერესებულ პირებს დღემდე არ აქვთ ინფორმაცია კონკრეტული ადგილების, ალტერნატივებისა და მათი განსახლებისთვის შესაფერისობის თაობაზე. მეტიც, როგორც ჩვენთვის ცნობილია, **გამოსახლებული ოჯახები მხოლოდ გზაში, ავტობუსში იგებდნენ, თუ სად გადაჰყავდათ. ოჯახებისთვის უცნობი იყო მათი და მათი შვილების განათლების, ჯანმრთელობის, შემოსავლის წყაროს ხელმისაწვდომობა გამოსახლების შემდგომ. აღარაფერს ვამბობთ სოფლებში მიწით სარგებლობის, შემოსავლის სხვა წყაროებსა და შესაძლებლობებზე...“**

განცხადებაში გულისტკივილით აღნიშნულია, რომ ის, რაც ჩვენი მრავალტანჯული თანამემამულე დევნილებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხია, საქართველოში გლუკის წარმომადგენლობისთვის თურმე სასწავლო გაკვეთილი ყოფილა.

**„ომით დაზარალებულებმა ყველაფერი სცადეს, რომ შეურიგებლობა და უკმაყოფილება გამოეხატათ და თუნდაც მხოლოდ თანაგრძნობა მოეპოვებინათ, მათ შორის გლუკისგან. მეტიც, სამწუხაროდ, ერთი დევნილი ქალის თვითშეწირვის აქტმაც კი ვერ გაარღვია უსულგულობის, უსამართლობის, ვიწრო ინტერესების შედეგად აღმართული ყრუ კედელი...“**

ღია წერილს ხელს აწერენ: **ნინო ციხისთავი — კავკასიის ქალთა ქსელი; ლია მუხაშავრია — ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი; არნოლდ სტეპანიანი — საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო;“ უჩა ნანუაშვილი — ადამიანის უფლებათა ცენტრი; ირინა ფუტკარაძე — კოალიცია სამოქალაქო განვითარებისათვის; გიორგი ხუციშვილი — კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი** და სხვები. ხელმომწერთა სიას კიდევ 13 ხელმომწერი შეუერთდა.

სია ჟენევაში, გლუკის სათავო ოფისში გადაიგზავნება.

**ნატა ნიბლაძე**

ინფორმაცია

## ოსმა სეპარატისტებმა დატყვევებული ქართველები გადმოგვცეს

**ოსმა სეპარატისტებმა საქართველოს 7 მოქალაქე ქართულ მხარეს გადასცეს. მარო პატარაშვილი, დემურ ჩიხლაძე, დავით კაპანაძე, ზვიად კობალაძე, გიორგი ელბაქიძე, ბექა თოკაძე და ვაჟა თოკაძე - ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც გუშინ სოფელ ერგნეთში ოსმა სეპარატისტებმა ქართულ მხარეს გადასცეს და რომლებიც ამ დრომდე ოკუპირებულ ტერიტორიაზე ტყვეობაში იმყოფებოდნენ.**

**სოფელ ერგნეთში ქართულმა მხარემ და ოსმა სეპარატისტებმა, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს პატიმრობაში მყოფი ადამიანები ერთმანეთს გადასცეს. ორივე მხრიდან გათავისუფლებულია 7-7 მოქალაქე.**

**ოსი სეპარატისტებისთვის გადაცემული ადამიანები არიან: ანატოლი ბესტაევი, ყაზბეგ ძუგკოევი, ზევინარ კაზიევა, იური ხაჩიროვი, სპარტაკ დრიაევი, ვიტალი ჩოჩიევი და მურმან კასაევი.**

**შეგახსენებთ, რომ შეთანხმება გაცვლის თაობაზე ქართულ მხარესა და ოს სეპარატისტებს შორის 17 თებერვალს გამართულ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე გადაწყდა.**

## საქართველოს ახალ კონსტიტუციაში უამრავი თეთრი ლაქაა



**ამის შესახებ ჟურნალისტებს „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერმა გიორგი თარგამაძემ საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციის მიერ შემუშავებული კონცეფციის განხილვის შემდეგ განუცხადა.**

**— მიუხედავად იმისა, რომ შარშან საქართველოში განხორციელდა მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ცვლილებები, ჩვენი ქვეყნის მთავარ კანონში — საქართველოს კონსტიტუციაში არის უამრავი თეთრი ლაქა. უპირველეს ყოვლისა, ეს უკავშირდება ადგილებზე ხელისუფლების ჰორიზონტალური გადანაწილების პრობლემებს, ტერიტორიული, ადმინისტრაციული, სამხარეო მოწყობის გაურკვევლობას, — აღნიშნა თარგამაძემ.**

**მისივე შეფასებით, ამ მიმართულებით საზოგადოებამ ღია, საჯარო დისკუსია უნდა დაიწყოს, რომ მომავალში არ მოხდეს გადაწყვეტილებების ნაჩქარევად მიღება.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 34. სამშაბათი, 22 თებერვალი, 2011 წელი.

## ◎ თვალსაზრისი

# პრეზიდენტ სააკაშვილის უკანასკნელი შანსი!

(მეორე გვერდიდან)

სამწუხაროდ, რუსეთის საინფორმაციო სივრცეში და მთლიანად საზოგადოებაში, იმდენად უარყოფითი იმიჯი აქვს პრეზიდენტ სააკაშვილს, რომ პუტინმა რომც გადაწყვიტოს მასთან დიალოგის დაწყება, მას სერიოზული პრობლემები შეექმნება გაპრეზიდენტებაში – 2012 წელს! რატომ? იმიტომ, რომ რუსეთი ვერ იტანს სისუსტეს და პუტინს ამ ნაბიჯს სისუსტედ ჩაუთვლიან! რაც შეეხება, ზღაპრებს პუტინ-მედვედევის „დაპირისპირების“ შესახებ, უმჯობესია ზოგიერთმა ექსპერტ-ანალიტიკოსმა (რუსმა თუ ქართველმაძ, საკუთარ შვილებს და შვილიშვილებს უამბონ „ძილის წინ“! მედვედევი, მთლიანად, პუტინის კადრების კონტროლქვეშაა და „ზედმეტი მოძრაობის“ შემთხვევაში პოლიტიკურად განწირულია... აქედან გამომდინარე, **პრეზიდენტ სააკაშვილის უკანასკნელი შანსია, რომ მან პრეზიდენტ ობამას, პრეზიდენტ სარკოზის და კანცლერ მერკელს სთხოვოს, საქართველოს საკითხზე (სააკაშვილის გარეშე!) შუამავლობა რუსეთის მმართველებთან (პუტინთან!), რათა, – რუსეთი, აშშ, ნატო, ევროკავშირი და გაერო, – ერთად, გახდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, სახელმწიფო სუვერენიტეტის და ნეიტრალიტეტის გარანტები (გარანტორები). მიმაჩნია, რომ ეს არა მარტო სააკაშვილის, არამედ საქართველოს ერთადერთი შანსია! ქართველებმა უნდა შევიგნოთ, რომ საქართველოს გამთლიანება საერთაშორისო გარანტიების გარეშე შეუძლებელია. სამწუხაროდ, მხოლოდ შეთანხმების საფუძველზე მოხერხდება ეს, ანუ ჩვენ აღარ გვაქვს ამის შიდა რესურსი (ოსები და აფხაზებიც, რომ დაინახავენ „ძლიერთა ამა ქვეყნის“ საერთო ნებას საქართველოს საკითხის საბოლოო მოგვარებისათვის, მათთან, ჩვენი დიალოგიც შედეგიანი იქნება!)!** ამჟამინდელი ხელისუფლება აცხადებს, რომ აშენებს ევროპულ ღირებულებებზე და ფასეულობებზე ორიენტირებულ დემოკრატიულ საზოგადოებას, ეფექტურ ეკონომიკას და მისწრაფის სახელმწიფოს მოდერნიზაციისაკენ, მაგრამ ქვეყნის 20%-ის ოკუპაციის პირობებში, საქართველოს გამთლიანების გარეშე ეს შეუძლებელია!

საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებში ვერ განხორციელდება, თუ საქართველოს თავზე „დამოკლეს მახვილივით“ ეკიდება რუსეთის ხელახალი შემოჭრის საფრთხე და გაგრძელდება დღევანდელი ოკუპაცია! ვერც, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში შეტანილი ცვლილებები უზრუნველყოფენ არსებული მდგომარეობის განმუხტვას. ამიტომ, აუცილებელია ქვეყნის სასიცოცხლო-სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, არაორდინარული ნაბიჯის გადადგმა სახელმწიფოს პირველი პირის მხრიდან. სააკაშვილს, 2013 წელს ეწურება საპრეზიდენტო ვადა, იქამდე მოვლენები შეიძლება ისე განვითარდეს, რომ არათუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შევძლოთ, არამედ რუსეთის მხრიდან ახალი აგრესიის მსხვერპლი გავხდეთ. საჭიროა, სწრაფად დავიწყოთ დიალოგი რუსეთთან **(ხელისუფლებამ!)**, ზემოთ ნახსენები **ხუთეულის ფორმატში,** ახალი სტრატეგიული პროექტის რეალიზაციისთვის! **იმ შემთხვევაში, თუ ახალი სტრატეგიული პროექტის გარშემო, წინასწარი კონსულტაციების შედეგად დასავლეთსა და რუსეთს შორის მოხდა შეთანხმება, მაშინ პრეზიდენტი სააკაშვილი უნდა გადადგეს თანამდებობიდან და დაინიშნოს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები! დროებით პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, პარლამენტის თავმჯდომარე ბაქრაძე უნდა ჩაერთოს დიალოგის პროცესში! სააკაშვილმა უნდა შეიგნოს, რომ იგი დაბრკოლებაა საქართველოს გამთლიანების საქმეში (ამაში, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით 11 თებერვალს, პარლამენტში გამოსვლისას!), ეს კი, პრობლემას უქმნის სახელმწიფოს, „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა ლიდერებს და მის**



**პოლიტიკურ მომავალსაც** (ასაკით პუტინზე გაცილებით უმცროსია, ასე რომ დაბრუნების შანსი აქვსძ!

მე არ გახლავართ „ნაცმოძრაობის“ აპოლოგეტი და არც ქართველობის დიდი უმრავლესობა, მაგრამ, თუ ისინი შეძლებენ ქვეყნის გამთლიანებას, მერწმუნეთ ეს სურათი რადიკალურად შეიცვლება! **აი, ეს გახლავთ პრეზიდენტ სააკაშვილის უკანასკნელი შანსი,** წინააღმდეგ შემთხვევაში, **თუ საქართველო საბოლოოდ დაკარგავს აფხაზეთს და ცხინვალს, ქართველ ერს გამსახურდიას და შევარდნაძის შეცდომები კი არ გაახსენდება, არამედ მას, – მიხეილ სააკაშვილს და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახლანდელ ლიდერებს მოკითხავს პასუხს!.. ვინაიდან, რუსეთი, 15 წელზე მეტი ხნის მანძილზე არ აღიარებდა ჩვენი სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობას და ცნობდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას! მხოლოდ, სააკაშვილის და მისი პარტიის მმართველობის პერიოდში, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, რუსეთმა აღიარა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის – „დამოუკიდებლობა“...**

რუსეთის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ასპარეზზე იზრდება, უწინარესად, გლობალური ბირთვული უსაფრთხოების ჭრილში! რუსეთის ჩართულობის გარეშე, საქართველოს დეოკუპაცია ვერ განხორციელდება! **ამიტომ, ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია, რომ საქართველოში შედგეს დასავლეთისა და რუსეთის ინტერესების კონსენსუსი, ამისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, საქართველის პრეზიდენტმა უნდა იზრუნოს! ჩვენ კი, რა სურათი გვაქვს? სრულიად საპირისპირო! სააკაშვილი, ოკუპანტ რუსებს ისე „ამკობს“, თითქოს, დღეს თუ არა ხვალ „დაპანღურებით“ გადარეკავს კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით!** აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების (გდრ, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ბულგარეთიძ დეოკუპაცია, – მოლაპარაკებების და ურთიერთგაგების ატმოსფეროში განხორციელდა! გაიხსენეთ, მთვრალი ელცინი, როგორ დირიჟორობდა ორკესტრს ბერლინში, კოლის თანდასწრებით! ავღანეთშიც, – დიალოგის რეჟიმი უძღოდა წინ ავღანეთის დეოკუპაციას! **ამ ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს მდგომარეობა გაცილებით მძიმეა და აი რატომ. აღმოსავლეთ ევროპის არც ერთ ქვეყანაში, მათ შორის ბალტიის ქვეყნებში, რუსეთს, ეთნიკურ უმცირესობებში სეპარატისტული მოძრაობების სახით დასაყრდენი არ ჰქონდა! რუსებმა მოახერხეს, რომ დასავლეთს ეთნოკონფლიქტის კვალიფიკაცია მიეცა რუსეთის მიერ ინსპირირებულ მოვლენებისათვის საქართველოში! ამიტომმაც გაიძახიან ფარისევლურად რუსი მაღალჩინოსნები – ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა, რომ არ გვეღიარებინა აფხაზების და ოსების დამოუკიდებლობა, მაშინ ქართველები მათ გაანადგურებდნენო“! – დასავლეთი კი, „სტრატეგიული მოთმინებისკენ“ მოგვიწოდებს, მათ იციან, რომ პუტინი სააკაშვილს არ დაელაპარაკება. ამასობაში, აფხაზეთთან მიმართებაში გაჩნდა ასეთი ტერმინი – „ჩართულობა, აღიარების გარეშე“!? გაისმის ლაპარაკი, ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი შეიარაღების განლაგებაზე საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე! და რა, რუსებს შეეშინდებათ და გაიქცევიან? თუ, უფრო მეტ – „გრადებს, სმერჩებს, იგლებს, ტოჩკებს“ შემოიტანენ და ათასი სხვა სახის იარაღით დახუნძლავენ მათ მიერ ოკუპირებულ ჩვენს ტერიტორიას... მოვლენების ამგვარმა განვითარებამ შეიძლება კატასტროფულ შედეგებამდე მიგვიყვანოს და საქართველომ თავისი ორი ისტორიული მხარე საბოლოოდ დაკარგოს...** ერთ ისტორიულ მაგალითს შევახსენებდი პრეზიდენტს და მის გარემოცვას. ბახტრიონის აჯანყების მეთაურები, – ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, მას მერე, რაც სასტიკი მარცხი აგემეს სპარსელებს, 7 თვის თავზე ეახლნენ შაჰ-აბას ისპაჰანში მისი მოთხოვნით, სადაც მოწამებრივი სიკვდილით აღესრულნენ! მათ იცოდნენ, რომ მათი თავგანწირვა ქვეყანას მრისხანე შაჰის რევანშისაგან გადაარჩენდა!.. **სააკაშვილისგან, სამშობლოსათვის თავგანწირვას და სიცოცხლის დათმობას არავინ ითხოვს! ხოლო თანამდებობის დათმობა და ახალი სტრატეგიული პროექტის განხორციელება კი განაპირობებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას!**



**ჯუმბერ კირვალიძე,**
პოლიტოლოგი

## ◎ ვაჰ, დრონი, დრონი...

# პირველი კონსტიტუცია დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს სიმბოლო იყო

(მესამე გვერდიდან)

ხელისუფლებაში ყოფნა კი იმის შესაძლებლობას აძლევდათ, რომ შეექმნათ ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც მაქსიმალურად დაცული იქნებოდა მოქალაქეთა უფლებები. გარდა პოლიტიკური უფლებებისა, 1921 წლის კონსტიტუცია მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი იყო, სადაც სოციალურ-ეკონომიკური უფლებები დაფიქსირდა.

საქართველოს პოლიტიკური სისტემა კი შემდეგნაირად წარმოედგინათ: საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე პროპორციული საარჩევნო სისტემით პარლამენტი სამი წლით უნდა არჩეულიყო. პრეზიდენტის ინსტიტუტი, როგორც „დემოკრატიისთვის შეუფერებელი“ უარყვეს, მაგრამ შესაძლო საპარლამენტო კრიზისების და პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში მმართველობის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად პარლამენტი ერთი წლით ირჩევდა მთავრობის თავმჯდომარეს, რომელსაც პრეზიდენტის გარკვეული უფლებები ჰქონდა მინიჭებული. თავმჯდომარის არჩევა ზედიზედ ორი ვადით შეიძლებოდა, ესეც „მაქსიმალური დემოკრატიის“ უზრუნველსაყოფად.

1921 წლის კონსტიტუცია ამკვიდრებდა ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას, უზრუნველყოფდა ეროვნული უმცირესობების ფართო უფლებებს, რომელთაც ყველაფერი შეეძლოთ თავიანთი ეროვნული ინტერესების დასაკმაყოფილებლად, გარდა „სახელმწიფოს მშენებლობისა სახელმწიფოში“. 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლებმა უარყვეს ფედერალიზმი, როგორც საქართველოსთვის მიუღებელი, „განაპირა მხარეების“ შემოსამტკიცებლად და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მისაღწევად შემოიტანეს ავტონომიის პრინციპი, რომელიც კონსტიტუციის თანახმად ენიჭებოდა ბათუმის მხარეს, აფხაზეთს და საინგილოს.

გზა, რომელზედაც იდგა საქართველოს იმდროინდელი მმართველი პარტია, არსებითად მიემართებოდა იქითკენ, რაც შემდეგ გაიარეს რიგმა ევროპულმა ქვეყნებმა „სოციალური სახელმწიფოს“ მშენებლობის მიმართულებით.

**– რა დამოკიდებულება იყო 1921 წლის კონსტიტუციის მიმართ საბჭოთა პერიოდში?**

– საბჭოთა რეჟიმისათვის, ბუნებრივია, მიუღებელი იყო კონსტიტუცია, რომელიც ამკვიდრებდა დემოკრატიას და საქართველოს სუვერენულ უფლებებს. 1921 წლის კონსტიტუცია არა მარტო „გაუქმებულად“ გამოცხადდა, არამედ საგულდაგულოდ გადაიმალა. საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოებში მასზე მხოლოდ გაკვრით და ტენდენციურად იწერებოდა.

თუმცა, 1921 წლის კონსტიტუციისთვის გარკვეულწილად ანგარიშის გაწევა საბჭოთა რეჟიმსაც მოუხდა. მაგალითად, საქართველოს ყველა საბჭოთა კონსტიტუციაში შევიდა მუხლი, რომელიც ქართულ ენას სახელმწიფო ენად აცხადებდა.

ქართველი ხალხისთვის კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია იქცა სიმბოლოდ იმისა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო, რომელსაც საბჭოთა რეჟიმმა არსებობა არ აცალა.

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში, „პერესტროიკის“ დროს, როდესაც საბჭოთა რეჟიმმა გარკვეული ლიბერალიზაცია განიცადა, საქართველოში ეროვნულმა მოძრაობამ აქტიურად დაიწყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის გახსენება. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოდგებოდა როგორც საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის და ფაქტობრივი ანექსიის შედეგების დაძლევა. ამ პერიოდში ბევრი რამ დაიწერა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაზეც.

**– როგორია 1921 წლის კონსტიტუციისადმი დამოკიდებულება დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ?**

– საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას საფუძვლად უდევს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი, რომლის შემდეგაც 20 წელი გადის. რეფერენდუმზე გამოტანილი კითხვის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა განიხილებოდა როგორც აღდგენა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა. აღდგენილი იქნა იმდროინდელი სიმბოლიკა (დროშა, გერბი, ჰიმნიძ, განსხვავებული იყო 1921 წლის კონსტიტუციისადმი დამოკიდებულება. ამ კონსტიტუციის მიღებიდან შვიდი ათეული წლის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა წარმოდგენები ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ, ისევე როგორც განვითარდა მსოფლიო კონსტიტუციონალიზმი. ამდენად ქვეყნის ახალი კონსტიტუცია უნდა შემუშავებულიყო 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე. მემკვიდრეობითობა ბევრ რამეში პირობით ხასიათს ატარებდა, მაგრამ რიგი მუხლები პირდაპირ იქნა გადმოტანილი საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში.

1921 წლის კონსტიტუციაში აისახა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ცხოვრების პრაქტიკა, ეპოქის მისწრაფებები და შეხედულებები. მას შემდეგ განვლილმა ცხრა ათეულმა წელმა ბევრ იმდროინდელ კითხვას გასცა პასუხი, მნიშვნელოვნად შეიცვალა ქართული საზოგადოებაც, მაგრამ 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთა თვალსაზრისის გადმოცემისას ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია რაიმეს შელამაზება ან შესწორება, იმისდა მიხედვით, თუ, „რა მოგვეწონება“ დღეს. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, მიუხედავად თავისი ხანმოკლე არსებობისა, დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართველი ხალხის ცნობიერებაზე. 1918-1921 წლებში საფუძველი ჩაეყარა იმ ტრადიციას, რასაც ემყარება თანამედროვე საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ.

**კობა ბენდელიანი**

# ცოდვას რას უზამთ, სად გაექცევით?..

## ღია წერილი პრეზიდენტს

ვინც „ლიტერატურულ საქართველოს“ კითხულობდა წინა წლებში, შეიძლება ახსოვდეს სტატია: „ჩემო პრეზიდენტო!“

ეს წერილი ხმაურიანი და შემზარავი, ძნელად საყურებელი დაჭერების იმ კადრების ჩვენებას მოჰყვა, რაც აშკარად ხალხის დასაშინებლად იყო გამიზნული. მიზანი ნაწილობრივად, მიღწეული იქნა: ხალხი დაშინდა: მოსახლეობა შეზარა დანახულმა სისასტიკემ და მიხვდა, რომ — ესენი(!) არ არიან მათი რჩეულები, ამის ჩამდენნი არავის არ დაინდობენ და კიდევ უარესსაც ჩაიდენენ.

სწორედ მაშინ მივწერე წერილი ბ-ნ სააკაშვილს — თბილი, დედაშვილური, ანუ, დამრიგებლური. არც ერთი უკადრებელი სიტყვა არ მიკადრებია. ძალიან მოკრძალებულად, ისე, როგორც შეეფერება ფსიქიატრს, ვთხოვე(!) თავისი ზოგიერთი ქცევისა და გამოთქმის კორექცია.

ეს იყო პირველი წერილი-მიმართვა პრეზიდენტისადმი, და მას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ვითომ, ჩემმა წერის „სტილმა და მანერამ“, წინადადებათა წყობამ და უშეცდომო პუნქტუაციამ გამოიწვია ის გაუთავებელი სატელეფონო ზარები (აპარატი „აფეთქდა“)? რომელი გერონტი ქიქოძე მე ვარ? ხალხის სათქმელი ვთქვი თავშეკავებულად, პირველმა შევბედე, თუმცა მე, 50 წლის ფსიქიატრმა ჯერ კიდევ იუსტიციის მინისტრობის პირველ დღეებში შევნიშნე მიხეილს ისეთი რამ, რაც სხვას არ შეუნიშნავს.

მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ისეთი „ეპითეტების“, რომლებითაც თქვენ, ბატონო პრეზიდენტო გაზეთებში თუ ტელევიზიით გამკობენ („უკურნებელი შემთხვევა“, „შიზოფრენიკი“, „გიჟი“ და სხვა).

არც მე ვიკადრებ ამას და არც სხვას ვაკადრებ, მით უმეტეს ჩემი ქვეყნის პრეზიდენტს, თუმცა ამ პრეზიდენტისადმი ძალიან ბევრი პრეტენზია მაქვს.

სულ ახალ ამბავს მოგახსენებთ. ვინ იყვნენ ეს პარლამენტარები, ვის გაუგია მათი გონივრული სიტყვა, თუმცა სიტყვა პარლამენტი — ქართულად სალაპარაკო ადგილია. რას უკრავენ ტაშს? თქვენს სიტყვას, რომლის ყოველ მეორე აბზაცში ისეთი იდეა იფრქვეოდა, რომელიც მტერსაც გულს გაუხეთქავდა შურით და საქართველოს მოქალაქესაც, მხოლოდ შურით კი არა, ძველი, შეუსრულებელი გადახალისებული დაპირებებით.

თქვენ თქვენი პრეზიდენტობის წლებში მრავალი მძიმე დანაშაულის ჩადენა მოახერხეთ.

თქვენ არ აფასებთ ისეთ დიდ ადამიანებს, რომლებიც საქართველოს ოქროს ფონდის ნაწილია.

როგორ გაუბედეთ დავით აღმაშენებელს ადგილიდან დაძვრა ისე, რომ არც ჰკითხეთ ბ-ნ მერაბ ბერძენიშვილს? მისი ფასი და ტოლი რა შექმენით? სასტუმროები, რომლებშიც მხოლოდ ის ადამიანები დაისვენებენ, ვინც ტაშს გიკრავდათ და ყოველ 5 წუთში ფეხზე გიდგებოდნენ? პოდიუმზე გასასვლელ ქალებს ჰგავანდნენ თქვენი პარლამენტარი ქალები. რა ეტყობოდათ მათ სამუშაო განწყობის ან ხალხის რჩეულების? აკვასკვასებული ლოყებით, ჭრელა-ჭრულა კაბებით და ძალიან ძვირი მაკიაჟით — კაბარეს მოცეკვავეებს თუ არა, კაბარეს მაყურებლებს ჰგვანდნენ.

მთელი თავისი მეფობის პერიოდი შეალია დავით აღმაშენებელმა არაბთა 400-წლიანი სახალიფოს მოსპობას, თბილისის მარტო დაბრუნებას კი არა, ისევ დედაქალაქად, გორგასლის ფუძე ქალაქად ქცევას. გელათში ცხოვრობდა და თბილისის დაბრუნებაზე ოცნებობდა.

ვის ჰკითხეთ მისი ძეგლის გადატანა? შეუფერებელი პედესტალის ამოშენება (ცემენტის ზოლები ჩამოდის მასზე წვიმაში)? ცხენის გავით შემოაბრუნეთ დიდი დავითი მისი საოცნებო თბილისისკენ? როგორ უმზირონ ამ ნალოლიავებ, წლების განმავლობაში ნაშრომ ცხენზე ამხედრებულ ქართველთა საყვარელ მეფეს თბილისელებმა? იქ ხომ ვერ გაჩერდები, პატივს ვერ მიაგებ! სირცხვილი ჩვენ, თბილისელებს, რომ ხელი არ შევუშალეთ ამ ვანდალიზმს, მაგრამ, ვაი, რომ მისი წამოღება ვარდების მოედნიდან (ამ მოედანს სახელი უნდა გადაერქვას) ღამე მოხდა, უკუნ ღამეში, ქურდულად. მოქმედებდნენ, როგორც ნამდვილი ავაზაკები.

თქვენ სინდისზე იყოს „ალგეთის ლეკვების“ მძიმე განცდები ამ ბოროტებასთან დაკავშირებით.

საინტერესოა, რატომ გინდათ თბილისი მხოლოდ ავტორის ჩანაფიქრის თქვენი მოულოდნელი, პროფესიონალებთან შეუთანხმებელი, გაუმართლებელი გადაწყვეტილებით შეცვალოთ?

იყო რუსთაველის გამზირი, ქაშვეთი, იყო ცისფერი გალერეა. მე ვიმეორებ — ცისფერი! იცით, რამდენ მხატვართან არის იგი დაკავშირებული? რატომ შეუცვალეთ ფერი? ცის ფერი, ბარათაშვილის საყვარელი ფერი არ მოგწონთ? თქვენც ხომ გაქვთ ცისფერი ხიდი?! დაუტოვეთ თბილისს ცის ფერი გალერეა. ამ საგამოფენო დარბაზში გამოიფინებოდა საკონკურსო ქანდაკებების მაკეტები, ეწყობოდა ჯგუფური და პერსონალური ნახატებისა და ფოტოების საუკეთესო ნიმუშების გამოფენა.



თქვენ შეიძლება აღარ გახსოვდეთ, მაგრამ ის ბაღი, რომელიც „ალექსანდრეს ბაღის“ სახელით არის ცნობილი, დააპროექტა შვედმა არქიტექტორმა ოტო სიმონსონმა (მისი პროექტია — დღევანდელი პიონერთა სასახლე). სიმონსონმა დააპროექტა იმ ბაღისათვის საგამოფენო პავილიონები, შადრევნები. ქაშვეთის ეკლესიის ახალი გალავანი.

სურათების გალერეა აშენებულია 1885 წ. (ბაროკოს მოტივებით), ნუ დაუკარგავთ ფერს, თქვენ ხომ საქართველოს სიყვარულით აკეთებთ ყველაფერს. პატივი ეცით ტრადიციებს, თორემ ისედაც ბევრია უკმაყოფილო თქვენი ერთპიროვნული გადაწყვეტილებებით, რომლებმაც არ გაამართლა. ცემენტისა და აბდა-უბდის გროვად აქციეთ მშვენიერი, ჰაერიანი, სივრციანი — გმირთა მოედანი, ომის შემდგომ ნანგრევებს ჰგავს. აღარ ვლაპარაკობ შუაში აღმართულ გაუგებრობაზე(!!!).

თუ მოისმინეთ თქვენი პოლიციელების მიერ ჩადენილი კიდევ ერთი „გმირობის“ ამბავი? წარმოიდგინეთ, თქვენს მიერ მოქალაქეთა დაცვის მიზნით (თქვენი სიტყვებია) შემუშავებული გენიალური მითითება „გონივრული ეჭვის“ შესახებ. გამოიყენეს და მერე როგორ? სრულიად უდანაშაულო ძმები სცემეს, მანქანაში ჩატენეს, ატარეს ბევრი, სრულიად უდანაშაულონი წინასწარი დაკავების საკანი გადატვირთული იყო, ჩაიყვანეს გორში. მერე წაართვეს 400-400 ლარი და გამოუშვეს. ეს გააკეთა „გენიალურმა“ „გონივრულმა ეჭვმა“. ყოველივე აღბეჭდა ვიდეოთვალმა და აჩვენა ტელევიზიამ.

ფულის საშოვნელად ყველა ხერხი გამართლებული არ არის. უსინდისობით და ძალადობით წართმეული ფული სრულიად უდანაშაულო ადამიანებისაგან ბიუჯეტის შესავსებად — ავაზაკობაა. თქვენ მიეცით ავაზაკობის და ყაჩაღობის უფლება პოლიციას. მერე რა წესია, უფორმოდ მათი გამოშვება საყაჩაღოდ. ფორმიანი კაცი პოლიციელი ნორმალურ ქვეყანაში ჯერ თვითონ წარუდგენს საბუთებს დაკავებულს, მერე წაუკითხავს მის უფლებებს და ასე აკავებს. ისე, რატომ უნდა დამორჩილებოდნენ უფორმო ხალხს? — იმიტომ, რომ თქვენ ფულის ასაკრეფად გამოუშვით ქუჩაში? ამის შემდეგ თქვენ ეკითხებით პარლამენტარ ჩახვაძეს: ვინ არის ამ დარბაზში კორუმპირებულიო? ყველა, ვინც იმ თანხას იღებს, რაც არ შეესაბამება მის მიერ გაწეულ შრომას!

წაგიკითხავთ თუ არა ის დეკლარაციები, რომლებიც დროდადრო ქვეყნდება გაზეთებში? რა თანხას იღებს ეს ხალხი და რაში? სად მუშაობენ მათი მეუღლეები? რა დამსახურებისათვის იღებს ასეთ თანხას უღიმღამო პარლამენტარი, რომელსაც ხალხი საერთოდ არ ცნობს, ვისაც ვერ წვდება ამომრჩეველი, ვისაც ვერ შესჩივლებ შენს გაჭირვებას, ვერ იპოვი შენი რაიონის დეპუტატს და არც მიგიღებს. სამინისტროს შესასვლელში შვეიცარი კი არა, დაცვაც პოლიციელები დგანან.

რამდენადაც გიხდებათ მორიდებული გაღიმება, იმდენად მძიმე საყურებელი და მოსასმენია თქვენი სიცილი, განსაკუთრებული სარკაზმით და ხმამაღლა რომ დასცინით მათ, ვისაც ასე ესმის „მოდერნიზაციის სიკეთე“. არც ერთი პოლიტიკოსი არ იკადრებს ასე ხმამაღლა დააკნინოს მომხსენებელი.ყველა გმირი არ არის, ნუ მოსთხოვთ ჩახვაძეს გმირობას, მან იცის, რომ იმ დარბაზში ყოველი კორუმპირებულია თავისი დიდი ხელფასებით, პრემიებით, სამივლინებო, ანუ სამოგზაურო თანხებით, მაგრამ ვერ ამბობს. სასაცილოდ გვაქვს საქმე, თქვენ რომ პარლამენტი გადაგაქვთ ქუთაისში? დედაქალაქიდან, სულმნათი დავითის მიერ დაბრუნებული დედაქალაქიდან. ეს დაიფიცეთ დავითის საფლავზე? არადა, ამ პარლამენტარებს, ჩვენი ფულით სახლები უნდა აუშენოთ წყალტუბოში, როგორც თქვენ ბრძანეთ, უნდა დაუმატოთ ხელფასზე ბინის ქირის ფული, სამგზავრო თანხა და სხვა „წვრილი“ ხარჯები. ეს ხდება ჩვენს ხარჯზე, „налогопла – мельщик“-ების ხარჯზე.

რატომ არ გამოაცხადეთ გამოკითხვა მოსახლეობაში პარლამენტის გადატანის შესახებ? ისედაც არავითარი სიახლოვე ხალხთან არ გაქვთ და ამის შემდეგ — პარლამენტი ავტონომიას მიიღებს.

ისე, წყნეთის გზას რომ შეუდგებით, მაშინ თუ გეცინებათ, როდესაც გაკაფულ ნაძვნარში ჩვენთვის უცნობი და თქვენი ახალგაზრდობის სასახლეებს უყურებთ?

რა რიხიანად იფიცებოდით, რომ 1 ხეც არ მოიჭრება აქ და როგორ დაისჯება ყველა, ვინც ამას გაბედავს. გაბედეს და თანაც, როგორ — თქვენი ხელდასხმით.

ისე, შვილი მყავსო, თქვენმა დედ-მამამ უნდა დაიკვეხონ — მამას, ბ-ნ ნიკას — ბალნეოლოგიური კურორტი საჩუქრად, დედას ქალბატონ გიულის — ტექნიკური უნივერსიტეტის ერთი კორპუსი ეკუთვნის. სხვა ბევრსაც ამბობენ, მაგრამ თავს შევიკავებ.

როგორ შეიძლება ქ-ნ კალმახელიძეს ჩააბარო საზოგადოებისგან იზოლირებული, ოჯახს მოცილებული, დასჯილი, საცოდავი ხალხი. ქალი, რომელიც ასე დაკავებულია თავისი მაკიაჟით, გარეგნობით, ჩაცმა-დახურვით (ამ ბოლო დროს — მაინც), იზრუნებს ამ ხალხზე? ყველა მკვლელი და ავაზაკი რომ არ არის იქ, ეს ხომ ცხადია. ეს ქალი არ ჩანს პატიმრების მდგომარეობით და გაჭირვებით შეწუხებული. ქ-ნ კალმახელიძემ არ იცის, ვინ იყო ჟან ვალჟანი და რატომ გაიგზავნა იგი კატორღაში. თქვენ იცით, რომ საკნებში ტუალეტი კი არა ორმოებია, რომლებიც კედლითაც კი არ არის გამოყოფილი სხვა 10 პატიმრისგან. თანაც ოთახი არ ნიავდება. როგორ შეიძლება დასჯილი, გაუბედურებული ხალხის ბედი ჩააბარო იმ კომისიას, რომელშიც შედის ხერხეულიძე და ქ-ნი კერვალიშვილი, რომლებმაც ციხის დათვალიერების შემდეგ ტელევიზიით განაცხადეს: „მდგომარეობა დამაკმაყოფილებელიაო“. ვისთვის? ქ-ნ კერვალიშვილისთვის, რომლის ვარცხნილობის ერთი თმის ღერის შეხევაც კი არ შეიძლება. ქ-ნ კალმახელიძისთვის, რომ უძვირფასესი ტანსაცმელი თანდათან უფრო ძვირფასი და დახვეწილი ხდება. ეს ქ-ნი ვერ შევა პატიმრებთან, ვერ ისუნთქავს იმ საზარელ სუნს. იგი მხოლოდ ათვალიერებს აშენებულ „3 ვარსკვლავიან სასტუმროებს“. პატიმრის ოჯახთან შესახვედრად 60 ლარია საჭირო 24 საათის განმავლობაში. სირცხვილი აღარ არის? სულ უფრო ვრწმუნდებით, რომ სწორი იყო შაჰ-აბასი — „ქართველს მხოლოდ ქართველი მოერევა“.

მოერიეთ ლტოლვილებს, სატვირთო მანქანებში ჩაყარეთ, ნამდვილად ჩაყარეთ ბავშვები ბარგთან ერთად. ეს ახალგაზრდა გრიშა ბაიბურთი გამომცემლობა „სამშობლოს“ დარბევისთვის დააწინაურეთ? მოერიეთ ქართული წიგნის და გაზეთების სათავეს — გამომცემლობა „სამშობლოს“?

მოერიეთ ვეტერანებს! აფერუმ თქვენს კაცობას. მსოფლიოში ყველაზე პატივცემულ ხალხს საქართველოში ურტყამენ და ამცირებენ. ვითომ, მათი ღირსების შესალახად შიმშილობა არ კმაროდა? რას ითხოვენ ასეთს? თქვენს სასახლეს თუ თქვენი ტაშისმკვრელების აგარაკებს? „მძიმე“ დანაშაულში ამხილეთ (იქ შარდავდნენო!), არც იცოდით, რომ საამისოდ ადგილი არსებობდა.

ბოდიშის მოხდა გეკუთვნით ამ ადამიანების წინაშე. ეს მხოლოდ კეთილშობილური საქციელი იქნება. ქართველი ხალხი მიმტევებელია. შეიძლება გაპატიონ თქვენი უღირსი და დაუნდობელი საქციელი. სად გაყარეთ ლტოლვილი ბავშვები და ქალები, მოუწყობელ საცხოვრებლებში ამ სიცივეში ულუკმაპუროდ? თუ იცით, როგორ იმგზავრეს ამ სატვირთო მანქანებით, სად წავიდნენ, სად დამკვიდრდნენ. ცოდვას რას უზამთ, სად გაექცევით? რეზერვაციები და კონცლაგერები საქართველომ არ დაიმსახურა. ჩვენ გადასახადების გადამხდელები პასუხს ვითხოვთ: სად წაიღეთ ლტოლვილების კეთილმოსაწყობად გამოყოფილი ფული. ნუ დანერგავთ უზნეობას, იგი საკმარისად ჩანს სახელმწიფო სტრუქტურებში!!!

**თამილა მაკარაძე**

## ინფორმაცია

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2011 წლის 1 მარტიდან 15 მაისის ჩათვლით, საქართველოს საჯარო სკოლებში პირველკლასელთა რეგისტრაციას აცხადებს, ამ თემასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ბრიფინგი გამართა.**

**2011 წლიდან სრულიად იცვლება სკოლებში პირველკლასელთა მიღების წესი. როგორც შაშკინმა განაცხადა პროცესი გამჭვირვალე და ყველასათვის ხელმისაწვდომი ხდება. პირველად საქართველოში,**

### დადგინდა პირველკლასელთა მიღების წესი

**ყველა სკოლისთვის პირველკლასელთა განაცხადების მიღების კონკრეტული ვადები დადგინდა, არ მოხდება მშობლის განაცხადის მიღება დადგენილ ვადამდე ან ვადის გასვლის შემდეგ.**

**სამინისტროს გადაწყვეტილებით, 1 მარტიდან 15 მარტის ჩათვლით, რეგისტრაცია იწარმოებს იმ პირველკლასელთათვის ვისი მშობლებიც ასწავლიან ან ვისი დედმამიშვილიც უკვე სწავლობს აღნიშნულ სკოლაში. ყველა სხვა პირველკლასელისთვის რეგისტრაცია 15 მარტიდან 15 მაისის ჩათვლით იწარმოებს.**

**იმისთვის, რომ ბავშვმა 15 სექტემბერს საჩუქრად პერსონალური კომპიუტერი მიიღოს, აუცილებელია მშობელმა დროულად მიაკითხოს შერჩეულ საჯარო სკოლას და დარეგისტრირდეს არა უგვიანეს 15 მაისისა.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ



◎ მშიერი ფანტაზია

# სააკაშვილი ინფლიაციას ინფლაციით „ამარცხებს“!

საუკუნემ, რომელიც ოცდამეერთის სახელით მოევლინა კაცობრიობას, უკვე იმდენი სიურპრიზი შესთავაზა ადამიანთა მოდგმას, რომ განცვიფრებულ სახეებს ჯუნგლებში მარბენალ ტომებშიც ვეღარ დალანდავთ. აღარაფერს ვამბობ ცალკეულ სახელმწიფოთა მეთაურებსა თუ პრეზიდენტებზე, რომელთაგან ერთნი დიქტატორობას და ტირანობას ჩემულობენ, მეორენი – დემოკრატობას და რეფორმატორობას, მესამენი – კორუმპირებულობა-ფარისევლობას და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. საქართველოს პრეზიდენტს, მაგალითად, მთელი მსოფლიო იცნობს როგორც უპირველეს დემოკრატსა და რეფორმატორს, მაგრამ ყველა ამ სიკეთესთან ერთად ბატონი მიხეილი (შინაურულად მიშაძ თუ დიდი ქველმოქმედისა და მესაჩუქრის თვისებებითაც არის შემკული, არა მგონია, ამის შესახებ ჩვენს გარდა კიდევ სადმე, თვით საქართველოს მეგობარ და პარტნიორ ქვეყნებშიც კი, რაიმე იცოდნენ. არადა მას თავის ხანმოკლე პრეზიდენტობის პერიოდში იმდენი საჩუქრები აქვს ჩამორიგებული თავის ცხოვრებამოყირჭებული ხალხისათვის, რომ თავისუფლად შეიძლება „მიშა მაგართან“ ერთად არანაკლებ საპატიო სახელი – „მიშა მაჩუქარაც“ შევარქვათ.

მე თქვენ გეტყვით, პრეზიდენტი არ იმსახურებდეს ამ მართლაც საპატიო მეტსახელს. რა საჭიროა, მაგრამ ზოგმა ვინმემ პრეზიდენტისადმი მიკერძოებასა და მლიქვნელობაში რომ არ ჩამომართვას ჩემი ასეთი განცხადება, მკითხველს სააკაშვილის მიერ გაწეული ქველმოქმედებიდან ზოგიერთს მაინც შევახსენებ. პირველ რიგში გლეხობას მინდა მივმართო, კერძოდ, კახელ გლეხობას. დაგავიწყდათ, ხალხო, შევარდნაძის ეპოქაში, სოფლად ტრაქტორის ჭაჭანება რომ აღარ იყო, სააკაშვილმა საზღვარგარეთული ტრაქტორების რამხელა პარტია გამოგიზავნათ? მართალია იმ ტრაქტორებიდან ბევრ სოფელში „რკინის ხარისთვის“ გლეხს თვალი საერთოდ არ მოუკრავს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, „რაც მთავარია, ხომ გამოგიგზავნათ? მერე ამ ტრაქტორებს საჩუქრად თითო „კანისტრა“ დიზელის საწვავიც რომ დაუმატა, აბა ესეც გაიხსენეთ და ისიც – ტყეში შეშის დამზადება რომ აგიკრძალეს და პრეზიდენტმა, სიცივით რომ არ დახოცილიყავით, სამადლოდ შეშის ვაუჩერები რომ დაგირიგათ(!ძ. აღარაფერს ვამბობ ფქვილით გასიკნულ ტომრებზე, რომლით დასაჩუქრებამაც არჩევნების წინ მოსახლეობას ხელისუფლების სასარგებლოდ საარჩევნო ენთუზიაზმი არაერთგზის გაუღვივა.

თუმცა ეს ყველაფერი შეიძლება გასახსენებლად არც ღირდეს იმასთან შედარებით, რაც ამ დღეებში, საქართველოში შემოჭრილ გლობალურ კრიზისსა და მასთან დაძმობილებულ ჭარბგაბერილ ინფლასციასთან დაკავშირებით მოხდა. თავიდან „მიშა მაგარმა“ იფიქრა, რომ თავის სიმაგრის მიუხედავად, ინფლაციასთან ვერაფერს გახდებოდა, რაზეც ოფიციალურად განაცხადა კიდეც – არ გეწყინოთ, ძმებო, იაფი ფასების ეპოქა წარსულს ჩაბარდაო, მაგრამ მიშა აბა რის მიშაა, დროის დინებას არ შებმოდა და ისე, რომ ბევრი არ უფიქრია, ინფლაციის წამალიც გამოიგონა – 20-ლარიანი ვაუჩერი, რომელიც მოსახლეობას ზამთრის გადაგორება რომ არ გაუჭირდეს, უკვე ურიგდება. ერთი პერიოდი, ხალხი ჭორს ავრცელებდა, ამ წამლის ავტორად რატომღაც ნიკა გილაურს თვლიდა, მაგრამ, ისევე როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შეცდა. შეუმცდარი გამოდგა მხოლოდ ისევ მიშა და მიშა, რომელმაც ეს ინიციატივა პარლამენტში წლიური საანგარიშო მოხსენებით გამოსვლისას განმეორებით „გააჟღერა“. თანაც ამას მეორე ვაუჩერიც (30-ლარიანიძ მოაყოლა, რომელსაც ხელისუფლება მომდევნო თვეში გასცემს.

ამის შემდეგ მოდი და ნუ შეშურდებათ მეზობელი ქვეყნების (პირველ რიგში რუსეთისძ პრეზიდენტებს, რომლებსაც ინფლაციის დასამარცხებლად თავში საერთოდ ინიციატივის ნატამალიც არ გასჩენიათ. ჩვენ ხალხს კი რა ენაღვლება, იმ დროს, როცა არსაიდან არაფერს ელოდა, ერთბაშად დენის გადასახადის გასტუმრების შანსიც გაუჩნდა და კუჭის პრობლემაც გადაწყვიტა. ყოველ შემთხვევაში იმ 30 ლარით ოჯახი, რომელსაც სახელმწიფო საჩუქრად ჰპირდება, ყოველდღე თუ არა, ამ წელიწადში ერთხელ ხომ მაინც გაძღება (!ძ.

დამეთანხმებით, ამ უარარაობაში, როცა ინფლაციამ ლამის მთელი ქვეყანა ვირთხასავით გამოხრას, ერთი 30-ლარიანი გაძღომა, მაშინ, როცა სააკაშვილს, თითო ასეთი ვაუჩერი (გაძღომაძ 20 ათასი და ზოგჯერ მეტიც უჯდება, მაინც კარგი მიღწევაა, არა?

მიღწევად, შეიძლება ითქვას, ორიგინალურ მიღწევად უთვლიან პრეზიდენტ სააკაშვილს იმასაც, რომ ინფლაციის დამარცხებას თავად ინფლაციისავე წაქეზებით ცდილობს. ეკონომიკის ექსპერტი, პროფესორი ლადო პაპავა, მაგალითად, მოსახლეობისადმი ვაუჩერებით დახმარებას უმადურ საქმედ არ აღიქვამს (ყვავს კაკალი გააგდებინო, ეგეც კარგიაოძ, მაგრამ იმასაც ამბობს, საბოლოო ანგარიშით, ერთბაშად ეს ფული ბაზარზე რომ მოხვდება, ბუნებრივია, ინფლაციით სტიმულირებას გამოიწვევსო. ამ ღონისძიებით „თითოეული ოჯახი თავის ბიუჯეტიდან დაზოგავს 50 ლარს, მაგრამ სად წავა ეს დაზოგილი თანხა? ისევ სამომხმარებლო ბაზარზე. მაშასადამე ამ ბაზარზე უფრო მეტი ფული გავა, ვიდრე იმავე ოდენობის საქონელი, რაც ფასების ზრდას შეუწყობს ხელს“, – დასძენს ექსპერტი.

პრეზიდენტისა და მთავრობის ვითომ კეთილი ნება, რომ მოსახლეობისათვის ინფლაციური ტვირთის შემსუბუქებას შეუწყოს ხელი, ინფლაციის კიდევ უფრო გაღრმავებას გამოიწვევს. ექსპერტ მიხეილ თავხელიძის აზრით, „ხელისუფლებამ უნდა აწარმოოს მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, ეროვნულმა ბანკმა უნდა შეწყვიტოს ფიქრი ეკონომიკის ზრდაზე და თავის პირდაპირ მოვალეობას მიხედოს, რომელიც არის ინფლაციის კონტროლი, მთავრობამ კი უნდა შეამციროს ბიუჯეტის დეფიციტი და საბიუჯეტო ხარჯები, რასაც ის არ აკეთებს“.



– თავიანთი 20-ლარიანი ვაუჩერით, – განაცხადა ჩემთან საუბარში პედაგოგმა ლალი გოდერძიშვილმა, – მაგათ ჰგონიათ ამით ყოფას შეუმსუბუქებენ გაჭირვებულ ოჯახებს? წელიწადში ერთი კი არა 12 თვეა და მარტო ერთში რომ მეხმარები, დანარჩენ 11 თვეში როგორ გადავიხადო ელექტროენერგიის გაზრდილი გადასახადი? სირცხვილია, როცა დიდ-დიდი თანამდებობის მქონე პირები ყოველთვიურად 10 ათასობით ლარს რომ იღებენ, ტელეეკრანებზე 20-ლარიანი ვაუჩერის გაჩუქებით იწონებენ თავს. მაგათ მუზარაძის ბედისა „ეხარბებათ“ და იმიტომ იკლავენ თავს ვაუჩერების ჩამორიგებით.

აი, „ქართული აკადემიის“ წევრი თემურ ნანეიშვილი კი თურმე თავისი კუთვნილი ვაუჩერის გადაცემას დავით ბეჟუაშვილისთვის აპირებს, ოღონდ არა უჩუმრად, არამედ ღიად და გამჭვირვალედ – ტელევიზიის თანხლებით. მას თურმე ეკონომიურად ძალიან უჭირს და 20 ლარი წელში გამართავს. რაც შეეხება ამჟამინდელი ვაუჩერიზაციის შემოქმედ მიხეილ სააკაშვილს, მას ნანეიშვილი ძებით მოიხსენიებს და „ინფლაციის ინფლაციით დამთრგუნველს“ უწოდებს.

არადა რა ქნას პრეზიდენტმა, მასაც თავისი გასაჭირი აქვს. თავიდან კი თქვა პატიოსნად – ინფლაციას მთავრობა საკუთარი ძალებით ვერ მოერევაო, მაგრამ ვინ დაუჯერა? ხალხს უნდა, მიშას რაც კი ფული უშოვია ამ 7 წლის მანძილზე, ინფლაციას შეაჭამოს, მაგრამ ნურას უკაცრავად! ვთქვათ, ეგვიპტური ჯანყი საქართველოსაც მოადგა, მაშინ თავად მიშა ვის მიადგეს სარჩენად? იმ საწყალ მუზარაძს საკუთარი თავისთვის ვერ მოუვლია (კომაშია თურმე ჩავარდნილიძ და ახლა მიხეილ მუზარაძისთვის აიტკივებს ერთხელ უკვე ატკივებულ თავს?

**ოთარ ხუციშვილი**

◎ რა ვჭამოთ?

# ზაფხულს, ალბათ, ცოცხლები შევეგებებით, თუ ყველაზე მშიერმა გაზაფხულმა არ შეგვიწირა

**საქართველოს პარლამენტში 11 თებერვალს ყოველწლიური ანგარიშით გამოსვლისას, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიმდინარე ინფლაციურ პროცესებსა და სამომხმარებლო ფასების ზრდაზე საუბრისას, კერძოდ, ხაზი გაუსვა ამ მხრივ მსოფლიოში მომხდარი და მიმდინარე მოვლენების გავლენას, თუმცა შიდა ფაქტორებზე ყურადღება ნაკლებად გაამახვილა. არადა, მდგომარეობა მართლაც მეტად საგანგაშოა, რადგან ექსპერტები სასურსათო პროდუქციის შემდგომ გაძვირებას კიდევ რამდენიმე თვის მანძილზე ელიან, რაც თავის გამოსვლაში მიხეილ სააკაშვილმაც აღნიშნა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ მსოფლიოში სურსათის მარაგები ძალიან მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო მთელ რიგ რეგიონში უამინდობის გამო, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასები მკვეთრად გაიზარდა და ეს ტენდენცია თანდათან სულ უფრო საგრძნობი ხდება.**

არაერთგზის აღგვინიშნავს, რომ სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 11,2 პროცენტი შეადგინა და ეს მაჩვენებელი იანვრისა და თებერვლის პირველი ნახევრის განმავლობაში კიდევ უფრო გაიზარდა, რაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის ძალიან მძიმე ასატანია. მაგალითად, **პურის ფასმა ბოლო დროს 15 პროცენტით მოიმატა, თან წონაშიც დაიკლო; კარტოფილი 30-35 პროცენტით გაძვირდა; ზეთი – 30 პროცენტზე მეტით; ხახვი – 50 პროცენტით, ნავთობპროდუქტების ფასი კი ლამის საათობით მატულობს,** თან იმის კისრება, რომ ქართველი ნავთობის იმპორტიორები მხოლოდ საკუთარი ჯიბის გასქელებაზე ფიქრობენ, არც მათ სურთ, არც მათ პროფესიულ გაერთიანებას. ამასთან დაკავშირებით, მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება: როცა გარკვეული ხნის – 4-5 თვის წინათ მსოფლიო ბაზარზე ბარელი ნედლი ნავთობის ფასი თითქმის სამჯერ ( 150 დოლარიდან 50 დოლარამდეძ შემცირდა, ჩვენ ეს ამბავი ორი წლის ბავშვის „დარტყმასავით“ ვიგრძენით, ახლა კი, როცა მისი ფასი იზრდება, ქართველი „ნავთობის გაქსუებულ ძიებს“ არც ნარჩენები ახსენდებათ, არც ის წინა პერიოდში ფასების დაკლების „კუს ნაბიჯი“.

მსოფლიოში ნედლ ნავთობზე ფასების ზრდის შენელება, რომელმაც დღესდღეობით ბარელზე 85-დოლარიან ნიშნულს მიაღწია, არა მარტო მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შენელების შედეგად ეკონომიკის ერთგვარ გამოცოცხლებას ნიშნავს და ეგვიპტეში ხელისუფლების შეცვლა მოყვა. ჩრდილოეთ აფრიკაში მიმდინარე მძაფრმა პოლიტიკურმა მოვლენებმა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები, ნავთობის საკუთარი მარაგების შევსება აიძულა, რამაც მსოფლიო ბაზარზე მასზე მოთხოვნა და, შესაბამისად, ფასიც გაზარდა. ამან, როგორც აღვნიშნეთ, მთელ მსოფლიოში გადაზიდვების ფასზეც იმოქმედა, რამაც, თავის მხრივ, სასურსათო პროდუქციის ფასის ზრდაზე იქონია გავლენა, რასაც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ამა თუ იმ სოფლის მეურნეობის არაერთი უმნიშვნელოვანესი კულტურის მოუსავლიანობა დაერთო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სავსებით ბუნებრივია საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოთქმული შეშფოთება შექმნილი ვითარების გამო, მაგრამ იმის თქმა, რომ სხვა ქვეყნებში ფასები კვების პროდუქტებზე ჩვენსაზე გაცილებით მაღალია და რომ 2015 წლისთვის მდგომარეობა გამოსწორდება, სადღეისოდ ქვეყნის მოსახლეობისთვის, რომელსაც, სხვა თუ არაფერი, დღეში ერთხელ მაინც უნდა ჭამა, ვერაფერი შეღავათია...

იხ. 9 გვ.

## ინფორმაცია თემაში

*მსოფლიო ბაზარზე შაქრის გაძვირება ავსტრალიაში ციკლონმა, გამოიწვია, რომელმაც შაქრის ლერწმის პლანტაციები გაანადგურა, რასაც ბრაზილიაში ბუნებრივი კატაკლიზმები დაემატა. არგენტინაში გვალვის გამო სიმინდის ფასმა მოიმატა; ხორბლის მოსავალი შეუმცირდათ რუსეთსა და უკრაინას, რის გამოც მათ ქვეყნიდან მისი ექსპორტი ჯერ კიდევ სექტემბერში აკრძალეს, ამასთან მსოფლიო ბაზარს ისეთი მძლავრი მიმწოდებელიც აკლდება, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც დიდი ყინვები მოსავალს მოსპობას უქადის. ასევე დაბალი ხორბლის მოსავალია არგენტინასა და კანადაში, რომლებიც მსოფლიოს უდიდესი ექსპორტიორები არიან. შარშანდელი აგვისტოდან წლევანდელ თებერვლამდე მსოფლიო ბაზარზე ტონა ხორბლის ფასი გაორმაგდა და 180-დან 360 დოლარამდე ავარდა. გაეროს სასურსათო და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით, წლეულს მსოფლიოში დაახლოებით 50 მილიონი ტონა ხორბლის დეფიციტი იქნება. მის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ სასურსათო პროდუქციაზე ფასების ზრდამ „ისტორიულ მაქსიმუმს“ მიაღწია: კერძოდ, ორგანიზაციის სასურსათო ინდექსი (რომელშიც ხორბლის, რძის პროდუქტების, ხორცის, ზეთოვანი კულტურებისა და შაქრის ფასები შედის), დეკემბერთან შედარებით იანვარში 3,4 პროცენტით გაიზაირდა, რაც ბოლო 20 წლის მანძილზე ყველაზე მაღალი ნიშნულია.*

*ამასთან, ჩინეთში მინიმალურმა ხელფასმა თვეში 120-დან 140 დოლარამდე მოიმატა, რაც დაახლოებით ნახევარ მილიარდ კაცს შეეხო, მთლიანობაში სამომხმარებლო ბაზარზე ერთბაშად მეტი ფული გააჩინა, რამაც თავისი გავლენა იქონია სხვადასხვა, მათ შორის სასურსათო საქონლის მსოფლიო ფასებზე.*

*შვეიცარიის ერთ-ერთი უდიდესი ბანკის „კრედი სუიზის“ ეკონომისტის რიკ დეველერის პროგნოზით, ფასების ზრდა მომავალი მოსავლის აღებამდე, ანუ წლის შუა პერიოდამდე არ შეჩერდება. იგი ასევე, აღნიშნავს, რომ მსოფლიოში სურსათის მარაგები ძალიან მწირია. საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით კი სასურსათო პროდუქციაზე ფასების ზრდას, შესაძლოა, მშიერი ბუნტები მოყვეს, როგორც ეს 2007-08 წ.წ. მსოფლიოს 61 ქვეყანაში მოხდა.*

# რუსეთი და საქართველო: რა ხდება?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 31-33.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, სწორედ ამ პერიოდში გამოიკვეთა სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების სტილი პუტინთან და მის პიროვნებასთან მიმართებაში. სააკაშვილი, მისი მთავრობის ჩინოვნიკები თუ ოფიციალურ წრეებთან დაახლოებული ე.წ. ექსპერტები ხაზგასმულად უდიერად მოიხსენიებდნენ რუსეთის პრეზიდენტს, დასცინოდნენ, შეურაცხყოფდნენ მას. საქმე კურიოზებამდე მივიდა. მთავრობის სრული კონტროლის ქვეშ მყოფი ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის, იმ დროს პოპულარულ იუმორისტული შოუს ლამის ყოველ გადაცემაში მასხრად იგდებდნენ პუტინს. ნურავის ჰგონია, რომ ეს მხოლოდ ცალკეული უნიჭო იუმორისტების „თვითშემოქმედება" იყო. ეს იყო ნათლად გამოკვეთილი სახელმწიფო პოლიტიკა.

პარალელურად, სააკაშვილის ხელისუფლებამ, ცხინვალში განცდილი მარცხის შემდეგ, დაიწყო გამალებული შეიარაღების პროგრამის განხორციელება. სამხედრო ბიუჯეტი თითქმის მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. საქართველო იქცა მუდმივ და აქტიურ მონაწილედ რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა ღონისძიების, გაერთიანებებისა თუ ინიციატივებისა. უფრო მეტიც: სააკაშვილმა, რომელმაც, ეტყობა, თავად დაიჯერა, რომ ჩე გევარას შემდეგ მსოფლიოს უდიდესი რევოლუციონერი იყო, დაიწყო დსთ-ში შემავალი სხვა ქვეყნების საქმეებში ჩარევა და „ფერადი რევოლუციების" ხელშეწყობა. ამ მიზნით საქართველოდან გაგზავნილი „რევოლუციონერთა დესანტები" ჩადიოდნენ უკრაინაში, ყირგიზეთში, ბელორუსში, მოლდოვაში. რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის უკან იდგა ამერიკის შეერთებული შტატები და მისი სპეცსამსახურები, რომლებიც სხვათა ხელით, მათ შორის გივი თარგამაძეების და მსგავსი წვრილფეხა ავანტიურისტების გამოყენებით, ცდილობდნენ რუსეთის გარშემო მისდამი მტრულ სახელმწიფოთა ზოლის შექმნას. ჯოხი (რუსეთის რისხვაძ კი საქართველოზე ტყდებოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მოლდოვაში განვითარებული მოვლენები, რადგან ეს ქვეყანა გარკვეულწილად ჩვენსას ჰგავს, კერძოდ, სეპარატისტული ტერიტორიების არსებობით. 2003 წლის შემოდგომაზე რუსეთის ხელისუფლებამ მოლდოვის პრეზიდენტ ვორონინთან და მის მმართველ კომუნისტურ პარტიასთან კონსულტაციების შედეგად, შეიმუშავა ე.წ. კოზაკის მემორანდუმი (დაინტერესებულ მკითხველს ეს მემორანდუმი შეუძლია, ინტერნეტში ნახოს. ამ მემორანდუმის თანახმად, ხდებოდა მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა საკუთრივ მოლდოვის ტერიტორიიისა და სეპარატისტული დნესტრისპირეთის ფედერაციულ სახელმწიფოში გაერთიანების გზით. ვორონინი დათანხმდა ამ დოკუმენტის ხელმოწერას და 2003 წლის ნოემბერში დაიგეგმა პუტინის ვიზიტი მოლდოვაში. მაგრამ უკვე ჰაერში აფრენილი პუტინის თვითმფრინავი უკან მოაბრუნეს, რადგან ბოლო მომენტში მოლდოვის ხელისუფლებამ, ამერიკელების ზეწოლით, უარი თქვა კოზაკის მემორანდუმის ხელმოწერაზე. ვორონინზე ზეწოლის ერთ-ერთი ინსტრუმენტი გახდა სწორედ იმ დღეებში საქართველოში მომხდარი „რევოლუცია". მოლდოვაში და არა მარტო იქ, კარგად ხვდებოდნენ, რომ „ფერადი რევოლუციების" უკან სწორედ ამერიკული სპეცსამსახურები იდგა და არ გამორიცხავდა ანალოგიური მოვლენების გამეორებას სხვა ქვეყნებში. ასეც მოხდა შემდეგ, მაგალითად, უკრაინასა და ყირგიზეთში.

მაგრამ დაუფარულად მოლდოვასა და სააკაშვილის მცდელობებს, შესარულებინა ანტირუსული დაგრეტყმული ქალის როლი პოსტსაბჭოთა სივრცეში. მემორანდუმის ხელმოწერის ჩაშლის შემდეგ მოლდოვისა და რუსეთის ურთიერთობები დაიძაბა, რასაც დიდად მიესალმა თბილისის ხელისუფლება, თითქოს მას საკუთარი პრობლემები აკლდა. სააკაშვილი პირადადაც კი ჩავიდა ამ ქვეყანაში 2005 წლის არჩევნების შემდეგ და არწმუნებდა სხვადასხვა ოპოზიციურ ძალებს, იმ დროს ანტირუსულ პოზიციაზე მდგომი ვორონინისთვის მხარი დაეჭირათ.

ეს ყველაფერი თავად მოლდოვისთვის საკმაოდ უსახელოდ დასრულდა. ამერიკელების მიერ შეკოწიწებულ მკვდრადშობილ „სუამში" შესვლით და სააკაშვილის აყოლით მოლდოვამ თავი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. დნესტრისპირეთის საკითხის მოგვარებამ უსასრულოდ შორს გადაიწია. დაიძაბა სიტუაცია მოლდოვის მეორე ავტონომიაში – გაგაუზეთში. რუსეთმა ემბარგო დაადო მოლდოვურ (ისევე, როგორც ქართულიძ ღვინის შეტანას თავის ტერიტორიაზე, რითაც ამ ქვეყნის ეკონომიკა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა, დანგრევის პირას დადგა. ამ შედეგების ნაწილობრივ გამოსწორებას რამდენიმე წელი და რუსეთთან უაზრო კონფრონტაციის კურსის შეცვლა დასჭირდა.

ამასობაში კი საქართველოში ანტირუსულმა ისტერიამ პიკს მიაღწია. მოლდოვისგან განსხვავებით, სააკაშვილს არც კი უფიქრია, ეცადა, ქართული ღვინო დაებრუნებინა რუსეთის ბაზარზე. პირიქით, მან დიდ გამარჯვებად გამოაცხადა ემბარგო და შეუდგა ამ პროდუქტის რეკლამირებას ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად, ჩინეთი... სააკაშვილის არანაკლებ „გენიალურ" სვლას წარმოადგენდა თურქეთში ჩვენებური ღვინის შეტანა – იმ იმედით, რომ თურქეთის კურორტებზე ჩასული რუსი ტურისტები დააგემოვნებენ ქართული ვაზის ნაჟურსო... სააკაშვილმა ღვინის საკითხი „სამხედრო საკითხად" გამოაცხადა და ღვინის რეკლამირება ევროპაში... თავდაცვის მინისტრს დაავალა. ამ უკანასკნელმაც არ დააყოვნა და სამხედრო პირდაპირობით ბრძანა: ფეკალური მასაც რომ შევიტანოთ რუსეთში, რუსები მაინც დალევენო... ამის შემდეგ, დღემდე რუსეთში ქართულ ღვინოს საზოგადო სახელს – „ფეკალურს" (фекальное) უწოდებენ. ქვეყანაში ნორმალური ხელისუფლება რომც მოვიდეს და მიაღწიოს ჩვენი ღვინის დაშვებას რუსეთის ბაზარზე, რეპუტაციური ზარალის გამოსწორებას წლები, თუ არა ათწლეულები დასჭირდება...

რიტორიკიდან „ნაციონალური" ხელისუფლება „საქმეზე" გადავიდა. დააპატიმრეს რამდენიმე რუსი ეროვნების პიროვნება, რომლებიც ე.წ. გრუ-ს აგენტებად გამოაცხადეს. თავისთავად, აგენტების დაკავება ჩვეულებრივი მოვლენაა და ხშირად ხდება სხვადასხვა ქვეყნების ურთიერთობაში, მაგრამ, როგორც წესი, პრობლემა შედარებით ცივილიზებულ ფორმებში გვარდება ხოლმე. თუმცა სააკაშვილმა აქაც ორიგინალობა გამოიჩინა. ხელისუფლების ბრძანებით ატყდა მძაფრი ისტერია მასმედიაში, რამაც გამოკვეთილად რუსოფობიური ხასიათი მიიღო. დაკავებულ „აგენტებს" ამცირებდნენ, რატომღაც (თუმცა გასაგებია, რატომაც) ბადრაგად მიუჩინეს პოლიციაში მომსახურე ქალბატონები... რუსეთის ჯარების შტაბს ალყა შემოარტყა პოლიციამ, თითქოს იმ მიზნით, რომ სამხედროები ქალაქში არ გამოსულიყვნენ.

ამ ყველაფერმა, რა თქმა უნდა, მძაფრი რეაქცია გამოიწვია რუსეთში. საპასუხოდ, რუსეთიდან დაიწყო იქ არალეგალურად მყოფი ქართველების გამოძევება საქართველოში. საბოლოოდ დაიხურა რუსეთის ბაზარი ყველა ქართული პროდუქტისთვის. კიდევ უფრო გაიზარდა მხარდაჭერა აფხაზი და ოსი სეპარატისტების მიმართ, კიდევ უფრო დაეცა ქართველების ერთ დროს მაღალი ავტორიტეტი ამ ქვეყანაში. სამაგიეროდ, სააკაშვილსა და მის პატრონებს ოკეანის გაღმა შეეძლოთ კმაყოფილი ყოფილიყვნენ: ბზარი ორ ერთმორწმუნე, მეზობელ ხალხს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა.

იმის დასადასტურებლად, რომ სააკაშვილმა თავის ამოცანად დაისახა რუსეთში ქართველი ადამიანის იმიჯის განზრახ განადგურება, საკმარისია ცნობილი მომღერლის ვახტანგ (ბუბაძ კიკაბიძის მაგალითის მოყვანა. მკითხველს ეხსომება, თუ როგორ გამალებით ცდილობდა მიხეილ სააკაშვილი ამ ადამიანის გადაბირებას, თვეების განმავლობაში არ იშურებდა მისდამი ქათინაურებს, ხოტბას, ქება-დიდებას. კიკაბიძე იქცა ლამის დღევანდელი ხელისუფლების „სახედ", ისე, რომ საარჩევნო კლიპების გახმოვანებაც კი მას უწევდა. საბოლოოდ ეს კამპანია დამთავრდა იმით, რითაც უნდა დამთავრებულიყო – კიკაბიძეს რამდენიმე ანტირუსული განცხადება გააკეთებინეს და ამით მისი მისია შესრულებულად ჩათვალეს. არადა, ვინ იყო ბუბა კიკაბიძე, რას წარმოადგენდა იგი რუსეთში? სწორედ ის იყო რუსეთში ქართველი კაცის სიმბოლური სახე, იგი ითვლებოდა ტიპიურ, სამაგალითო ქართველად და არა მარტო ასეთად, არამედ საყვარელ არტისტადაც, განსაკუთრებით საშუალო და უფროსი თაობის ადამიანებში. აი, ამიტომ იყო საჭირო ამ იმიჯის დამსხვრევა, სწორედ ამიტომ ცდილობდა სააკაშვილი ასე დაჟინებით კიკაბიძის ჩართვას რუსულ-ქართულ დაპირისპირებაში.



სურათზე: სააკაშვილი და კიკაბიძე

ნათელია, რომ სააკაშვილისა და მისი საზღვარგარეთელი მფარველების თუ პატრონების ამოცანა იყო რუსეთსა და საქართველოს შორის არა უბრალოდ დაპირისპირებისა და სიძულვილის გაღვივება, არამედ ომის გაჩაღებაც. სააკაშვილი ამისკენ მეთოდურად მიდიოდა. საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა ყველა შანსის გამოყენებაზე, რომ ომი რუსეთთან თავიდან აეცილებინა. გავიხსენოთ საქართველოში რუსეთის ელჩის, კოვალენკოს პრესკონფერენცია 2007 წელს, როცა მან პირდაპირ განაცხადა, რომ საქართველოს მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადება და ნატოში შესვლაზე უარის თქმა იქნებოდა საფუძველი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის. საქართველოს ხელისუფლებამ უპირობოდ უარყო ეს წინადადება. ამ თემაზე განცხადებები გააკეთეს იმდროინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეჟუაშვილმა და უშიშროების საბჭოს მდივანმა კემულარიამ. ამ უკანასკნელმა ერთ-ერთ ინტერნეტ-გამოცემასთან ინტერვიუში თქვა, რომ „არასწორია ჩვენთვის ნეიტრალიტეტის შემოთავაზება". საქართველოს ხელისუფლებამ არც კი ჩათვალა საჭიროდ, რაიმე საზოგადოებრივი დისკუსია გაემართა ამ თემაზე და შეეჯერებინა აზრები. ის უაზროდ აყოლილიყო ჯერ კიდევ ირაკლი წერეთლის მიერ 80-იან წლებში წამოსროლილი „ნატოს ჯარების შემოყვანის" და ნატოში „შესვლის" ავანტიურისტულ რიტორიკას, და ამ იდეის განხორციელებას ჯიუტად ლამობდა.

2008 წლის აგვისტოში ეს პოლიტიკა რუსეთ-საქართველოს ომით „დაგვირგვინდა". აუცილებელია, გვახსოვდეს, რომ აგვისტოს ომი სააკაშვილის რეჟიმის მიერ მეთოდურად მზადდებოდა, იგი სპონტანურად არ წარმოშობილა. პროფესორი ალექსანდრე ჭაჭია ომამდე ცოტა ხნით ადრე, 2008 წლის 11 ივლისს, რუსი ჟურნალისტის შეკითხვას რუსულ-ქართული ურთიერთობების მდგომარეობის თაობაზე ასე პასუხობდა: „ურთიერთობები ძალიან მძიმეა და რისკებით აღსავსე. მიმაჩნია, რომ ეს ურთიერთობები თანდათან რაღაც ჩიხში შედის, საიდანაც გამოსვლის შესაძლებლობის ბუნდოვან კონტურებსაც კი ვერ ვხედავ. შეერთებული შტატების უძლეველობისა და სამხრეთ კავკასიაში საკუთარი მარიონეტული როლის ეფექტურობის რწმენამ საქართველოს ხელისუფლებას ბოროტი სამსახური გაუწია. ყოველი წლის, ყოველი თვის გასვლის შემდეგ იგი სულ უფრო და უფრო მეტად კარგავს შანსს, რუსეთის ხელისუფლებასთან ნორმალური კონტაქტები დაამყაროს და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა ოდესმე აღადგინოს. ასე რომ, რუსულ-ქართულ ურთიერთობებს ძალიან პესიმისტურად ვუყურებ".

მართლაც, ამ განცხადებიდან სულ მოკლე ხანში ომი დაიწყო. სააკაშვილის და მისი გარემოცვის მცდელობები, დაარწმუნოს ქართველი ხალხი და მთელი მსოფლიო, რომ ომი „რუსებმა დაიწყეს", წარუმატებლად მთავრდება. მართლაც, როდესაც არსებობს კონფლიქტის რეგიონში საქართველოს სამშვიდობო ძალების სარდლის მამუკა ყურაშვილის განცხადება ტელევიზიით, 2008 წლის 7 აგვისტოს 23 საათზე, რომ ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა სამაჩაბლოს ტერიტორიაზე" და რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები არ ერევიან ბრძოლებში, საკმაოდ ძნელი იქნება, სხვას გადააბრალოს საკუთარი შეცდომები და დანაშაულებები. გენერალი ყურაშვილი ამ განცხადების გამო სააკაშვილის ხელისუფლებამ ერთხანს შერისხა კიდეც და „კონტუზიას" დააბრალა მისი სიტყვები, თუმცა 2009 წელს იგივე ყურაშვილი გაერთიანებული შტაბის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა... არსებობს ასევე თვით სააკაშვილის სატელევიზიო გამოსვლა იმავე 7 აგვისტოს, საღამოს საათებში, სადაც ის საუბრობს ქართული ჯარის მიერ სხვადასხვა სოფლების თუ სიმაღლეების აღებაზე და არსად ახსენებს რუსეთის ჯარს, რომელიც, თითქოს, უკვე შემოჭრილი იყო ცხინვალის რეგიონში. ამრიგად, სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ, ცხინვალის რეგიონში ჯარების შეყვანით და ომის გაჩაღებით, უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო, პირველ ყოვლისა, საქართველოს სახელმწიფო, „აჰკიდა" რა მას საერთაშორისო სამშვიდობო მისიის მოქმედების რეგიონში საომარი მოქმედებების განახლების სიმძიმე.



სურათზე: მამუკა ყურაშვილი.



სურათზე: დასავლურ პრესაში გამოქვეყნებული კარიკატურა: ჯორჯ ბუშს დათვის გალიასთან მიჰყავს საქართველოს დროშით შემოსილი „პატარა მიშა", რომელიც დათვს ნატოს ემბლემიან ჯოხს „უჩხიკინებს"; დათვი უსწორდება „პატარა მიშას", „ჯორჯ ბიძია" კი არხეინად მიდის უკან — ასე დასცინიან თვით დასავლეთში მ. სააკაშვილსა და მთლიანად საქართველოს, რომელიც აშშ-ის ადმინისტრაციამ რუსეთის წინააღმდეგ ნატოს სატყუარად გამოიყენა.

შედეგად მივიღეთ უფრო მეტი დაკარგული ტერიტორია, უაზრო სისხლისღვრა და რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება.

გულბაათ რცხილაძე,
გიორგი ვეკუა

(გაგრძელება იქნება)

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ხუთი მიზეზი, თუ რატომ წააგო საქართველომ აგვისტოს ომი

**2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ბევრი აზრთა სხვადასხვაობა და დავები იყო იმ ვითარებათა და მოვლენათა გამო, რაც მაშინ ამ ომამდე სუფევდა. მაგრამ ერთ საკითხში, როგორც ჩანს, ერთმანეთს ეთანხმება პრაქტიკულად ყველა მხარე – საქართველოს სამხედროები გამოვიდნენ სუსტად.**

ძნელია ედავო ამ შეფასებას, რასაკვირველია, თუ გავითვალისწინებთ ამ ხანმოკლე კონფლიქტის ცხად სამხედრო შედეგს: საქართველომ წააგო. რა თქმა უნდა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ზოგჯერ გვხვდებოდა რამდენიმე საპირისპირო განცხადებაც იმის შესახებ, რომ საქართველომ „სინამდვილეში მოიგო ეს ომი“, იმის გამო, რომ ყველგან, ყველაფერი ეყრდნობოდა მოვლენების საქართველოს ვერსიას, ანდა იმის გამო, რომ საქართველო უფრო დემოკრატიული ქვეყანაა და ა. შ. მაგრამ ასეთ სტატიებშიც კი მალე გაირკვა, რომ საქართველოს სამხედროები სულაც არ შეესაბამებოდნენ უფრო დიდ და შედარებით უკეთესად შეიარაღებულ რუსეთის ძალებს. მორჩა და გათავდა.

მაგრამ ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებული ვიკილიქსის დეპეშები გვაიძულებენ კვლავ დავუბრუნდეთ ამ საკითხს. ამ დეპეშებს მოჰყავთ იმ წყაროების ციტატები, რომლებიც გამოხატავენ სერიოზულ ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, რომ დაშლის გზაზე მყოფი რუსეთის ჩვეულებრივი შეიარაღება შეიძლება წარმოადგენდეს რაიმე საფრთხეს ნატოსთვის.

და ზოგიერთი მიმომხილველი აუცილებლად იყენებდა ამ ახალ ამბებს იმის საზომად, რომ მოეხდინათ სიტუაციის ექსტრაპოლირება საქართველოს სამხედროების საბრძოლო ოსტატობაზე. თავის ავტორიტეტულ თავდაცვის ბლოკში ქრისტინა მაკენზი აკეთებს დარტყმას წელს ქვევით, ვარაუდობს, რომ ამერიკელების მიერ გაწვრთნილი ქართული არმია იყო გაცილებით უარესი.

**მაშ ასე, გამოქვეყნებული დეპეშების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ წარმოდგენილია ხუთი მიზეზი რომელთა თანახმადაც საქართველომ წააგო აგვისტოს ომი (თავისუფალი რიგით).**

### 1. მოცულობა

რუსეთის არმია, როგორც თავად ქვეყანა, უბრალოდ ჩრდილავს საქართველოს.

თქვენ არ იცოდით, რომ საქართველოს არმია უფრო პატარა იყო, ვიდრე რუსეთისა?

შეიძლება ეს მომენტი მოგვეჩვენოს სრულიად ცხადად, მაგრამ საოცარია, რამდენად იშვიათად წარმოჩნდება ეს ფაქტი, როდესაც შეფასებას აძლევენ საქართველოს არმიის მოქმედებას რუსეთის არმიის წინააღმდეგ. მაგალითად, ძალების კონცენტრაცია მარტო ჩრდილოეთი კავკასიის სამხედრო ოლქში აჭარბებს ასი ათას მეომარს, მოიცავს ასობით ტანკს, ჯავშანტრანსპორტიორსა და არტილერიის ერთეულს.და ეს არც კი შეიცავს რუსეთის ძალების მულტიპლიკატორებს, ისეთებს, როგორიცაა საჰაერო ძალა და ტექნიკით მომარაგება.

შედარებისთვის, საქართველოს მთელი არმია ითვლის დაახლოებით 35 ათას ჯარისკაცს და 130-ზე ნაკლებ ტანკს, თანაც ამ რიცხვში შედის პერსონალი, რომელიც ასრულებს ზურგის ამოცანებს – დაზვერვას, მხარდაჭერასა და ადმინისტრირებას.

იმ დროს, როდესაც 35 ათასი სამხედრო მოსამსახურე იყო და არის კიდეც საკმარისი, რათა დაძლიო სამხრეთი ოსეთის მინიატიურული საკუთარი თავდაცვის ძალები, არავის უნდა უკვირდეს, რომ საქართველოს ქვედანაყოფები მალე იქნენ განადგურებული რუსეთის ჭარბი ოდენობისა და უკეთესი ეკიპირების ძალების მიერ.

### 2. დოქტრინა და სწავლება

რუსეთის სამხედრო დოქტრინა ემყარება ჯარების სახეობათა გაერთი-



ანებას. საქართველოს ასეთი რამ არ გააჩნია.

ირონიულად გაისმის, მაგრამ საქართველოს არმია 2008 წელს შეიძლება იყო კიდეც გაცილებით უკეთესი მაგალითი ომის წარმოების საქალაქო ტაქტიკის თვალსაზრისით, ვიდრე რუსეთისა თავის ბრძოლებში ჩრდილოეთი კავკასიის მეამბოხეებთან. 1990-იანი წლების დასასრულს საქართველოს არმია წარმოადგენდა მეტს არაფერს, თუ არა ფორმაში გამოწყობილ მეამბოხეებს, რომლებიც ექვემდებარებოდა ნომინალურ, ზოგჯერ კი ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ ხელისუფლების სხვადასხვა ნაწილს ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. მხარი რომ დაეჭირა მოდერნიზაციის ძალისხმევისთვის, 2002 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყო საქართველოს სამხედროების სწავლება პროგრამით „ჯორჯია ტრეინგ ენდ ექუიპ პროგრამა“. ეს პროგრამა, რომლის ღირებულებაც 64 მილიონი დოლარი იყო, გათვალისწინებული იყო 18 თვეზე და მიზნად ისახავდა ქართველი მეომრების შეზღუდული ოდენობის სწავლებას. საინტერესოა, რომ პროგრამის გაჩენის ბიძგი ნაწილობრივ იყო თბილისის შეზღუდული კონტროლი პანკისის ხეობაზე, რომელიც დასახლებულია ეთნიკური ჩეჩნებით, სადაც, თუ ხმებს დავუჯერებდით, ბანაკებში იმყოფებოდნენ ჩეჩენი ლტოლვილები და ბოევიკები.

ბრძოლის ტაქტიკის სწავლება მეამბოხეებისთვის სავსებით საკმარისი იქნებოდა, რომ დაეძლიათ სამხრეთ ოსეთელი მეამბოხეების წინააღმდეგობა, მაგრამ ეს სწავლება არ ასრულებდა პრაქტიკულად არანაირ როლს ქართული ჯარების მომზადებაში რუსეთთან დაპირისპირების პირობებისთვის. აი, რატომ არის, რომ ამერიკულ სწავლებაზე მითითებას ნაკლები აზრი აქვს აგვისტოს ომთან დაკავშირებით. ამ დროს ერაყსა და ავღანეთში ქართველი სამხედროების წარმატებები შეფასებულია მეტად მაღალი დონით.

### 3. ქართული ელიტა

გაწვრთნილი ქართული ჯარები გაიგზავნენ ერაყში.

როდესაც ერაყზე ვსაუბრობთ, უნდა გავიხსენოთ, რომ ქართველი მეომრების ყველაზე კარგად ნასწავლი და შეიარაღებული, გამოცდილი ნაწილები არც კი იმყოფებოდნენ ომის დროს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ერაყში განთავსებული ჰყავდა 2 ათასი სამხედრო მოსამსახურე და მათ არანაირი შანსიც კი არ გააჩნდათ, თუნდაც ერთხელ მაინც მოეხდინათ გასროლა ამ კონფლიქტში. იმ დროისთვის, როდესაც ყველა ეს ძალა დაბრუნდა საქართველოში, ომი უკვე დამთავრებული იყო. მათ რომ მონაწილეობა მიეღოთ კონფლიქტში, მაშინ, ზოგიერთის აზრით, ამას შეიძლება შეეცვალა სიტუაცია (თუმცა, ეს ნაკლებ სავარაუდოაძ. მაგრამ რაშიც შეიძლება ვიყოთ დარწმუნებული, ეს არის ის, რომ მსოფლიოს ექნებოდა გაცილებით უკეთესი შანსი შეეფასებინა, თუ როგორ მოქმედებენ „ამერიკელების მიერ გაწვრთნილი“ ქართული ჯარები რუსული ჯარების წინააღმდეგ.

### 4. მულტიპლიკატორული ძალები

რუსეთმა გამოიყენა რამდენიმე მულტიპლიკატორული ძალა დიდი ეფექტის მისაღწევად. საქართველომ პრაქტიკულად ვერც ერთი ვერ გამოიყენა.

მულტიპლიკატორული ძალები – ეს არის რაღაც ისეთი, რასაც შეუძლია სამსახური გაუწიოს საბრძოლო ოპერაციების საქმეს. მაგალითად, დავუშვათ, რომ არმია ა ებრძვის არმია ბ-ს და ორივეს ჰყავს ჯარების ერთნაირი ოდენობა და სწავლების ერთნაირი დონე. მაგრამ თუ არმია ა-ს ჰყავს მეთვალყურეობის დამაკავშირებელი აეროსტატი, ხოლო არმია ბ-ს ასეთი არა ჰყავს, მაშინ არმია ა-ს აქვს გადამწყვეტი უპირატესობა ოპერაციების წარმოების მანევრების განსაზღვრის დროს. მათ შეუძლიათ დაინახონ, რომ არმია ბ არ არის დაცული მარცხენა ფლანგიდან, და გაგზავნოს იქით თავისი ჯარები, რათა გამოიყენოს ეს სისუსტე. არმია ბ-ს რიგები დაშლილია. ამ შემთხვევაში მეთვალყურეობის აეროსტატი ასრულებს მულტიპლიკატორული ძალის როლს.

რუსეთს საქართველოსთან შედარებით ასეთი უპირატესობები ჰქონდა, თუ არ ვილაპარაკებთ მოცულობის უპირატესობაზე და მომზადების დონეზე.

სხვა მულტიპლიკატორული ძალები? ინფორმაცია და თანამგზავრული მეთვალყურეობა; ტრანსპორტი და ლოგისტიკა; და დიდი საზღვაო ფლოტი შავ ზღვაზე (რომელმაც გახსნა მეორე ფრონტიძ, აი მინიმუმ ზოგიერთი მათგანი ამ ძალიდან.

### 5. სარდლობა და კონტროლი

პრობლემები სარდლობასთან და კონტროლთან დაკავშირებით ნეგატიურად აისახა საქართველოს შესაძლებლობაზე – მოახდინოს სწრაფი რეაგირება ცვალებად პირობებში.

ბევრი მეთვალყურე ეთანხმება იმას, რომ თუ საქართველო ემზადებოდა აგვისტოს ომისთვის წინასწარ (ესეც ძალიან დიდი ეჭვის ქვეშ მყოფი საკითხიაძ, მას აშკარად არ გააჩნდა ეჭვიც კი რუსეთის მონაწილეობაზე და, რასაკვირველია, არც ფიქრობდა, რომ ომში ჩაერთვებოდა რუსეთი ასეთი სისწრაფით, ასეთი შეტევითა და ასეთი ძალით, რაც სინამდვილეში მოხდა. და მიუხედავად იმისა, ითვალისწინებდა თუ არა ამას საქართველო, ცხადია, რომ იმათაც კი, ვისაც ეკისრებოდა პასუხისმგებლობა სტრატეგიულ და ტაქტიკურ დონეზე, თავი ვერ გაართვეს სამუშაოს. როდესაც რუსეთის ჯარები ჩაერთვნენ საქმეში, საქართველოს წინააღმდეგობამ შთამბეჭდავი კრახი განიცადა.

სასარდლო დონეზე საქართველოს ძალებმა ვერ შეძლეს სწრაფი ადაპტირება ცვალებად პირობებთან და ვითარებასთან და შედეგად დაუყოვნებლივ დაიშალნენ და დაიფანტნენ.

Eurasia Review

# რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი: როგორ არ უნდა გავიგოთ იგი

**„საქართველო აღმოჩნდა რთული არჩევნის წინაშე ორ ერთიმეორის გამომრიცხავ ვარიანტში სამომავლოდ“. ასე იწყება ამერიკის პროგრესის ცენტრის (აპც) 70-გვერდიანი მოხსენება რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შესახებ. საკმარისია ითქვას, რომ ეს ზედაპირული მტკიცება – სულ რაღაც პირველი ბათქია დოკუმენტში, რომელიც აღსავსეა უზუსტობებით.**

აპც – ეს არის პროგრესული საექსპერტო-ანალიტიკური ცენტრი, რომელიც არც თუ ისე ცნობილია თავისი წარმატებებით უცხოეთის პოლიტიკის თემატიკაში. ობამას ადმინისტრაცია ირიბულად ძლიერ აკრიტიკებდა „ბოტანიკოს“ როულენს კორბას მისი წინადადების გამო შეამცირონ სამხედრო ბიუჯეტი, მას უწოდეს „არითმეტიკა სტრატეგიის ნაცვლად“, მის ნამუშევართან დაკავშირებით კი ტერორიზმთან და ავღანეთში ბრძოლის შესახებ თეთრ სახლში უპირატესობა მიანიჭეს პოლიტიკურ გამოკვლევას, რომელიც სხვა ორგანიზაციამ განახორციელა.

ასე რომ, სერიოზული საგარეოპოლიტიკური ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აპც-ს მოხსენებები არ არის განხილვის ღირსი. მაგრამ აპც-ს მრავალგვერდიანი მოხსენების მცდარი ბუნების შესაბამისად და მისი გავლენის გათვალისწინებით მემარცხენეებზე, მაინც საჭიროა ამ შეცდომების გასწორება.

ჯერ ერთი, აპც გვარწმუნებს, რომ არა რუსეთმა, არამედ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაამძაფრა კონფლიქტების სერია თავისი ცუდი პოლიტიკური ნაბიჯებით, თანაც ამავე დროს ამტკიცებდა, რომ რუსული ოკუპაცია – ეს სტაბილიზაციის ფაქტორია.

ამერიკის შეერთებული შტატები დაბეჯითებით უწყობდა ხელს საქართველოში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებას, ხელისუფლების გაჯანსაღებასა და არჩევნების ღია სისტემის შექმნას. ქართველებმა მთელი სულით და გულით დაუჭირეს მხარი ამ ძალისხმევას.

მეორეც, მოხსენება აშკარად იზიარებს რუსეთის აზრს, რომ მოსკოვი არ არის კონფლიქტის მონაწილე და იგი იხსნის პასუხისმგებლობას საქართველოში წარმოქმნილ კრიზისთან დაკავშირებით. მაგრამ, ხომ ცხადია, რომ მოსკოვს საქართველო სჭირდება გათიშული, სუსტი და ოკუპირებული.

შემდეგ, რუსეთის ეგრეთ წოდებული სამშვიდობო როლი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში – ეს არის ფარსი. როგორც შეჭრამ დაადასტურა, მშვიდობისმყოფელები იყვნენ კონფლიქტის მონაწილეები 2008 წლამდე და არა ნეიტრალური ძალა. აპც უგულებელყოფს ამას და ბრალეულობის ტვირთს აკისრებს ამერიკის მხარეს კონფლიქტის გაჩაღებასთან დაკავშირებით.

არის აგრეთვე მოხსენების სხვა ასპექტებიც, რომლებიც აშკარად უჭერენ მხარს რუსეთის შეხედულებას.

საქართველოს სურს შევიდეს თავისუფალი და აყვავებული დემოკრატიული ქვეყნების გაერთიანებაში. იგი სულ რაღაც რამდენიმე წლის განმავლობაში გადაიქცა წარუმატებელი ქვეყნიდან სწრაფად განვითარებად ღია რესპუბლიკად. რუსეთი თავის საფრთხედ მიიჩნევს ღია დემოკრატიულ საზოგადოებებს. მან უკვე გვიჩვენა, რომ იგი შეამცირებს ასეთ საფრთხეს ძალისა და ოკუპაციის დახმარებით.

the weekly Standard

## დედამიწის ზურგზე



**კიმ ჩენ ირს გაუჩნდა შვილიშვილები – ბელადის პირადი განკარგულებით**

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დიდი ხელმძღვანელი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ მის ვაჟიშვილებს აუცილებლად ჰყავდეთ მემკვიდრეები – მმართველი დინასტია არ უნდა შეწყდეს. შვილი ჰყავს საშუალო ვაჟიშვილს, 29 წლის კიმ ჩენ ჩოლს, აგრეთვე უმცროს კიმ ჩენ უნას, რომელიც მიჩნეულია მემკვიდრედ, იტყობინება მეზობელი ქვეყნების პრესა.

* * *

**ვიკილიქსი: იაპონია ქმნის საგარეო დაზვერვის სრულფასოვან სამსახურს**

იგი ორიენტირებული იქნება, უწინარეს ყოვლისა, ინფორმაციის შეგროვებაზე ჩინეთის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა და ტერორისტების პოტენციურ მოქმედებების შესახებ. ამერიკელ დიპლომატებთან საუბარში იაპონიის ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ მისი ცოდნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ზედა ეშელონებში შექმნილი სიტუაციის შესახებ შეზღუდულია ქვეყნის ლიდერის ყოფილი იაპონელი მზარეულის მემუარებით.

* * *

**აშშ-ს საელჩომ რუსეთში განმარტა, თუ რატომ მიიჩნევს კურილიის კუნძულებს იაპონიის საკუთრებად**



საქმე ის არის, რომ 2010 წლის ნოემბერში სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ფილიპ კროუელმა მხარი დაუჭირა ტოკიოს პრეტენზიებს, მას შემდეგ კი ახალი მითითებანი არ შემოსულა, აგვიხსნეს საელჩოში. ვაშინგტონი მოუწოდებს მოლაპარაკებისკენ, მაგრამ მოსკოვი ამტკიცებს, რომ მხარეების აზრი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან.

* * *

**ახალი ზელანდიის ნაპირებზე გამოირიყა ასზე მეტი შავი დელფინი**

107 დელფინი აღმოაჩინა ერთ-ერთი პრესტიჟული პლაჟის დამსვენებელთა ჯგუფმა. ამ მომენტისთვის ცხოველების დიდი ნაწილი – 59 სული – უკვე დაღუპული იყო, მაგრამ დანარჩენები დააძინეს, ვინაიდან მათი წყლამდე მითრევა შეუძლებელი იყო.



**რა ვჭამოთ?**

# ზაფხულს, ალბათ, ცოცხლები შევეგებებით, თუ ყველაზე მშიერმა გაზაფხულმა არ შეგვიწირა

**(მეექვსე გვერდიდან)**

ამასთან ხალხის უმეტესი ნაწილის ხელფასებს, ასევე პენსიებს, სტიპენდიებს, შემწეობებს და, ასევე, გადასახადებსაც თუ გავითვალისწინებთ, ვინც არის ყველაზე უარეს დღეში, ჩვენ კი ვიცით მშვენივრად. და, როგორც ჩანს, ეს ასე დარჩება კიდევ ძალიან დიდხანს, რადგან შარშან სოფლის მეურნეობისთვის გამოყოფილი თანხა უფრო მათხოვრისთვის გამოწვდილ ხელში ჩადებულ მონეტას ჰგავდა, ვიდრე ნაღდ დახმარებას. მდგომარეობა არც წელს შეიცვალა დიდად, თორემ პამიდორს, კარტოფილს, ბადრიჯანს, ხახვსა და ვინ მოთვლის კიდევ რამდენ რამეს, თურნაც თავისი ბუნებით ეს დახმარება აშკარად ინფლაციის ხელის შემწყობია, რაც დამწყებმა ეკონომისტმაც იცის.(ასევე სუბსიდირება გაუწიეს კომპანიებს, რათა მათ შვებულებაში გაუშვან კრიზისის გამო დროებით დახურული საწარმოთა მუშაკები.

ამავე მიმართულებით მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატებიც, რომლის მთავრობამ დაახლოებით 900 მილიარდი დოლარი(!) გამოყო საკუთარი ეკონომიკის კრიზისის მარწუხებიდან დასახსნელად. **ამ თანხაში პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ იმ 50 მილიონი კაცის დაზღვევა მოითხოვა, ვინც სადღეისოდ უდაზღვევოდაა დარჩენილი(!).**



თავის მხრივ, იაპონიის მთავრობამ 270 მილიარდი დოლარი გამოუყო კომერციულ ბანკებს, რათა მათ მროსახლეობასა და კერძო კომპანიებს აღებული კრედიტების დაფარვა გადაუვადონ, ხოლო 20 მილიარდი დოლარი გამოყო დაბალ და საშუალო შემოსავლიან ოჯახებზე ერთჯერადი დახმარების გასაწევად. მრავალი სხვა ქვეყნის მთავრობაც ანალოგიურად მოიქცა და ჩვენი მთავრობა, სავსებით გასაგები მიზეზებით, მთლად ასე თუ არ მოიქცევა, იმ ქამრებს მაინც მოუჭიროს, რომელთა შესახებ ამდენი ხანია გვეზუზუნება!! გარდა ამისა, მას კიდევ ხომ უამრავი საქმე აქვს რეალურად გასაკეთებელი მოსახლეობის მდგომარეობის ოდნავ მაინც შესამსუბუქებლად, მაგრამ ამ მიმართულებით ქმედით ნაბიჯებს არა თუ არ დგამს, არამედ იმ მიმართულებით არც იცქირება!

საწვავისა და სასურსათო საქონლის გაძვირებაზე ამდენს რომ ვლაპარაკობთ, ცოცხალ ადამიანს საკვებისა და საწვავის გარდა განა სხვა არაფერი უნდა? პური კი გაძვირდა და წონაშიც მოიკლო, მაგრამ მედიკამენტებს რაღა ჭირი შეუყენეს ჩვენმა „ფარმაკოლოგებმა“? რა და **„დაკრიშულმა“ მონოპოლიებმა უაღრესად კარგად გააზრებული და უმაღლეს დონეზე ორგანიზებული ჩაკეტილი სისტემა — წამლების წარმოება (და იმპორტი) — სააფთიაქო ქსელში რეალიზაცია — სამედიცინო მომსახურება — სადაზღვევო კომპანიები შექმნეს და რაც მოესურვებათ, იმას სჩადიან.**

ყველაფერ ამას — სურსათის კატასტროფულ დეფიციტს, ყველაფრის ფასების ზრდას, ჩვენში უკვე კაი გვარიანად „გარეკილი“ ინფლაციაც ემატება, რომლის მოთოკვა, ამ სფეროზე პასუხისმგებელ მაღალჩინოსნებს თუ ვენდობით, მარტო საქართველოს ძალებით შეუძლებელია. გამოდის, რომ ისევ უცხოელ „ძიათა“ კეთილი ნების ამარა ვეგებებით გაზაფხულს, ჩვეულებრივ, წლის ყველაზე „მშიერ“ და „ძვირ ფასებიან“ დროს.

ქეთიდან როგორ უნდა ვეზიდებოდეთ?! ხომ გავიგეთ, რომ ჩვენი კომერციული ბანკები სოფლის მეურნეობის დარგებში ფულის დაბანდებას ისე გაურბიან, როგორც ეშმაკი საკმეველს, ამიტომ იქნებ მთავრობამ მაინც გამოიბერტყოს ყური? თუკი თავის სოფლის მეურნეობებს პირდაპირ ბიუჯეტიდან „მურაბა“ ქვეყნებიც კი აფინანსებენ, ჩვენსას რა სჭირს ასეთი შეუვალი?

აქვე აუცილებლად ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთავრობა, ფაქტობრივად, თვითონ არაფერს აკეთებს სოფლის მეურნეობის ფეხზე წამოსაყენებლად — ის უფრო უცხოური ინვესტიციების, ბურების ჩამოყვანით და ა. შ. იმედითაა. არადა, **ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისიდან თავის დასაღწევად მსოფლიოს არაერთმა მოწინავე ქვეყანამ მხარი დაუჭირა ეკოომიკის სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკას . ამ პოლიტიკის გატარებით მათ სახელმწიფო ბიუჯეტებიდან საკუთარი ეკონომიკების დაფინანსება დაიწყეს, თუმცა კი ბევრი მათგანი თავიდან ამ ნაბიჯის გადადგმისგან თავს იკავებდა.** კერძოდ, გერმანიამ 50 მილიარდი ევროს პაკეტი გამოყო და კიდევ 100-მილიარდიანი გარანტია მისცა იმ ბანკებს, რომლებიც დახმარების კრედიტებს კერძო კომპანიებზე გასცემენ. მთავრობამ საშემოსავლო გადასახადიც კი შეამცირა (!) 9,6 პროცენტით, რაც საქართველოს ხელისუფლებას აზრადაც არასოდეს მოუვა — პირიქით, აქეთ თუ არ წაუმატა რამე. ამასთან, ყოველი ოჯახი ყველა ბავშვზე 100 ევრო დახმარებას მიიღებს (მადლობა ჩვენს მთავრობას 20-ლარიანი ენერგოვაუჩერისთვის, მაგრამ უფრო შეღავათი არ იქნებოდა ტარიფი გაეხადა „არაჯალათური“?! თა-

**ოთარ ტურაბელიძე**

**ჩვენ და კანონი**

# ხელისუფალნი მხოლოდ მაშინ მიხვდებიან ადვოკატის მნიშვნელობას, როდესაც თავად დასჭირდებათ მათი მომსახურება

**ხელისუფლებისა და მისი მართვადი ტელევიზიების მიერ გაპიარებული სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, რომელიც 1 ოქტომბრიდან შევიდა ძალაში, იმ დღეებშივე გახდა იურისტების, სპეციალისტების, ექსპერტების, ადვოკატების კრიტიკის საგანი. მასში იმდენი ახალი მუხლია შესული, რომლებიც ჩვენი და უცხოელი ექსპერტების გაოცებას იწვევს, უბრალო მოქალაქეებისთვისაც კი ცხადი ხდება კოდექსის შემდგენელთა არაპროფესიონალიზმი.**

## ვადა გამიგრძელეთ, იქნებ რამე აღმომიჩინოთ!

**205-ე მუხლით (წინასწარი) პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.** ბრალის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში ამ დროის გასვლის შემდეგ ის უნდა განთავისუფლდეს. ახალ კოდექსში დართულია — გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „ადვოკატის სავალდებულო თანხმობით“ ბრალდებული სასამართლოს წინაშე დააყენებს შუამდგომლობას ვადის გაგრძელების შესახებ.

იურისტები ნოვაციას ასე განგვიმარტავენ: 9 თვის შემდეგ, როდესაც დაკავებულს ვერაფერს ვერ უმტკიცებენ, ის და მისი ადვოკატი სასამართლოს პატიმრობის ვადის გაგრძელებას სთხოვენ იმ მოტივით, იქნებ ამ დროში რაიმე ხელმოსაჭიდს მიაგნონ. ამასთანავე კოდექსში, ამგვარი „მოთხოვნის“ შედეგად არ არის განსაზღვრული რამდენი ხნით შეიძლება პატიმრობის ვადის გახანგრძლივება.

## ადვოკატებისადმი ზიზღით შედგენილი კოდექსი

**საპროცესო კოდექსს აპროტესტებს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილიც.** იგი აცხადებს, კოდექსში არ არის მითითებული წყარო, თუ საიდან შეიქმნა ის. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მისი წყარო არ არის საქართველოს კანონმდებლობა და ქვეყნის კონსტიტუცია. ეს არის უცხოური კოდექსებიდან ამოკრეფილი რაღაც მუხლები და ადეიშვილის მიერ შემუშავებული რაღაც ნოვაციები. ამოღებულია დაზარალებულის ინსტიტუტი — რაც იმას ნიშნავს, რომ შვილმოკლულ დედას და მის ადვოკატს არა აქვთ გასაჩივრების უფლება.

ადვოკატის თავი საერთოდ ამოღებულია კოდექსში. სამაგიეროდ წერია, რომ მას აქვს ბრალდებულის ყველა უფლება, ანუ უუფლებო ბრალდებული და ადვოკატი გაიგივებული არიან — განაგრძობს ხატიაშვილი და ასკვნის, რომ ეს არის ადვოკატებზე ზიზით შეპყრობილი ჯგუფის მიერ დაწერილი საპროცესო კოდექსი.

კოდექსი ადვოკატს ყველა უფლებას ართმევს. მას ნება არა აქვს სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით, ამოღების, ჩხრეკისა და ფარული მოქმედებების წარმოებაზე. თუ, მაგალითად დაკითხვაზე გამომძიებელი, პროკურორი პატიმრისაგან უხეში ფიზიკური ძალის გამოყენებით ცდილობენ სასურველი ჩვენების მიღებას, ხოლო ამის შესახებ ადვოკატს გააჩნია მტკიცებულებები, მას სასამართლოსთვის მათი წარდგენა არ შეუძლია. თუ მტკიცებულებები გადაღებულია ფარული კამერით ან აუდიოტექნიკით, ადვოკატს მათი წარმოდგენის შემთხვევაში აპატიმრებენ.

წინათ, სისხლის სამართლის შეწყვეტის საქმე სასამართლოში საჩივრდებოდა, ახალ კოდექსში ეს მუხლები ამოიღეს და მხოლოდ ერთჯერადად საჩივრდება ზემდგომ პროკურორთან. მის „კეთილ“ ნებაზეა დამოკიდებული ყველაფერი. სასამართლოს კი ამით თითქმის ყველა უფლება წაართვეს. არანაირი შესაძლებლობები აღარ დაუტოვეს ადვოკატსა და დაზარალებულს.

ახალი კოდექსის შემდგენლებს ადვოკატებისათვის უფლებების აყრასთან ერთად მათთვის არც მძიმე ფინანსური სანქციების დადება დავიწყნიათ. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი სასამართლოს სხდომას გააცდენს, მას 5 ათასლარიანი ჯარიმა ემუქრება. იმ შემთხვევაში კი, თუ მოსამართლე ჩათვლის, რომ ადვოკატი სასამართლოს სხდომაზე გამომწვევად იქცევა, მოსამართლეს უფლება აქვს იგი 5 ათასი ლარით დააჯარიმოს. მოსამართლის ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

## კოდექსის მიღების შემდეგ

**ახალი საპროცესო კოდექსის შემდეგ ადვოკატებთან ურთიერთობებში ხელ-ფეხი გაეხსნათ პროკურორებსა და მოსამართლეებს.** დღიდან კოდექსის მიღებისა, რამდენიმე ადვოკატი პატიმრობაში აიყვანეს, როგორც დაკავებულთა კოლეგები პირად საუბრებში აცხადებენ (ხმამაღალ განცხადებებს ერთეულების გარდა ერიდებიან), დაუმორჩილებელ ადვოკატებს ათასგვარი ბინძური მეთოდებით ებრძოდნენ და ებრძვიან. ხდება პროკურატურისა და საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენელთა ფარული გარიგებები ათვალისწინებულ ადვოკატთა დაცვის ქვეშ მყოფ პატიმრებთან. ჰპირდებიან სასჯელის შემცირებას ან უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას, თუ თავიანთ დამცველებზე საჩივრებს დაწერენ, მოახდენენ ქრთამის გადაცემის იმიტაციას და ა. შ.

ადვოკატებს თავიანთი დასაცავი პირის სანახავად უხდებათ კოლეგების საერთო რიგში საათობით დგომა. ზოგჯერ დღე ისე გადის, მათი შეხვედრაც ვერ ხერხდება (ადვოკატ-პატიმრის შეხვედრა ხომ 5- 10 წთ-ს არ გრძელდება). კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ ხათუნა კალმახელიძემ გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც ადვოკატს ეკრძალება ზედიზედ ორ პატიმართან შეხვედრა. ადვოკატს შეიძლება ერთ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 3-4 დაცვის ქვეშ მყოფი ჰყავდეს. მინისტრის ბრძანება ავალდებულებს ადვოკატს პირველ პირთან შეხვედრის შემდეგ გამოვიდეს დაწესებულებიდან, ხელმეორედ დადგეს რიგში. რაც უმეტეს შემთხვევებში უშედეგოდ მთავრდება.

ადვოკატები პროტესტს გამოთქვამენ იმ მოპყრობის გამო, როგორც მათ სასჯელაღსრულების დაწესებულების კონტროლიორები იქცევიან. ახალგაზრდა იურისტ ქალებს ვითომდა კანონით აკრძალულ ნივთებზე ჩხრეკის მიზნით სხეულზე ხელებს უფათურებენ.

## უცხოელი ექსპერტების თვალსაზრისი

**საქართველოში სტუმრად მყოფი გერმანიის ადვოკატთა დელეგაცია და მისი ხელმძღვანელი ბრემენის ადვოკატთა კოლეგიის ხელმძღვანელი ერიკ იოსტერი დათრგუნა იმ სიტუაციამ, როდესაც პატიმრებთან შესახვედრად დამცველებს №8 საპყრობილესთან საათობით უწევთ გრძელ რიგში მონაცვლეობით დგომა**. სტუმრის განმარტებით გერმანიასა და ევროპაში მსგავსი რამ წარმოუდგენელია. ადვოკატის თავის დაცვის ქვეშ მყოფთან შეხვედრა შეუზღუდავია. არსებობს ადვოკატთა უფლებების დაცვის ევროკონვენცია, რომელზეც ხელი საქართველოსაც აქვს მოწერილი, შეგვახსენა გერმანელმა ადვოკატმა, ადვოკატის უფლებების შეზღუდვასთან ერთად ილახება პატიმართა უფლებებიც, რაც დაუშვებელია — მიაჩნია ერიკ იოსტერს. ადვოკატებთან პირად საუბრებში შევამჩნიე, გვიმხელს ბრემენელი იურისტი, რომ ისინი არ არიან თავისუფალნი, რაღაცის ეშინიათ. წლების წინათ გერმანიაშიც ასე იყო აცხადებს საპატიო სტუმარი და იქვე დასძენს — ადვოკატთა ერთიანობამ შედეგად მოიტანა ის, რომ ადვოკატები სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელნი არიან. ჩვენთან და ევროპის ქვეყნებში ადვოკატად დაშვების საკითხს ადვოკატთა კორპუსი წყვეტს, ისევე, როგორც ლიცენზიის ჩამორთმევისას. საბოლოოდ ერიკ იოსტერი ასკვნის, რომ თუკი ჟურნალისტსა და ადვოკატს საკუთარი აზრის გამოთქმის შიში აქვთ, ქვეყანაში დემოკრატია არ არსებობს.

## რა ხდება ადვოკატთა ასოციაციაში

**— ადვოკატთა უმრავლესობა ეტყობა ზაზა ხატიაშვილის ასოციაციის თავმჯდომარედ არჩევაზე იყო აქცენტირებული, რა დროსაც გამოეპარათ არც თუ უმნიშვნელო მოვლენა.** — ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის დაკომპლექტება, — ამბობს ადვოკატი მამუკა ნოზაძე. იგი აცხადებს, რომ თუ ხელისულებამ ვერ მოახერხა თავმჯდომარედ თავისი კაცის გაყვანა, სამაგიეროდ მთლიანად მოახერხა ეთიკის კომისიის უზურპაცია. მისი წევრები არიან შსს-ს ყოფილი თანამშრომლები ემზარ პაქსაძე, ლავრენტი ხაბაშვილი, ყოფილი პროკურორი კახა წერეთელი, უზენაესი სასამართლოს აპარატის ყოფილი უფროსი ეკა გასიტაშვილი და ა. შ.

ნოზაძის განმარტებით ეთიკის კომისია არაუფლებამოსილია, რადგან მის წევრთა უმეტესობა თავისი მონაცემებით არღვევს კანონს ეთიკის კომისიის შესახებ, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ კომისიის წევრი შეიძლება გახდეს პიროვნება, რომელსაც აქვს ადვოკატის პროფესიული მუშაობის ხუთწლიანი სტაჟი. ჩამოთვლილთ ერთი დღეც არა აქვთ ადვოკატურაში ნამუშევარი. მართალია ისინი იურისტები არიან, მაგრამ იურისტობა კვალიფიკაციაა, ადვოკატობა კი პროფესია.

ამ კომისიის თავმჯდომარე ირაკლი კორძაია ეტყობა ან არ იცნობს ასოციაციის წესდებას, ან წაკითხულიდან შინაარსი ვერ გამოაქვს. იგი აცხადებს, კომისიის წევრთა არაუფლებამოსილების საკითხი არასწორადაა დასმული.

ეთიკის კომისია ასოციაციაში ხელშეუხებელი ორგანოა. ის ყრილობაზე ირჩევა და მომდევნო ყრილობამდე მისი არც ერთი წევრის გამოყვანის უფლება არავის აქვს თვით თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილსაც . ასე რომ, კიდევ კარგა ხანი უნდა წყვიტონ ადვოკატების ბედი კომისიაში ხელისუფლების მიერ ჩასმულმა ყოფილმა პროკურორებმა, უზენაესის თანამშრომლებმა, პოლიციელებმა.

## რეზიუმეს მაგივრად

**გოგი გიორგაძე (იურისტი, სამართალმცოდნე): „ხელისუფალნი მხოლოდ მაშინ მიხვდებიან ადვოკატის მნიშვნელობას, როდესაც თავად დასჭირდებათ მათი მომსახურება“.**

**ზაზა ბილიხოძე**

ძიუდო

# როცა დაღმართს დაღმართი მოსდევს

**ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ავსტრიელი პეტერ ზაიზენბახერი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს სათავეში იმ პირობით ჩაუყენეს, რომ წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატიდან მინიმუმ ერთი ოქროს მედლით მაინც დაბრუნდება.**

**ვერ გეტყვით, რა მოხდება მომავალ ფორუმზე, მაგრამ ფაქტია, რომ ოპტიმზმის საფუძველი ჯერჯერობით ნამდვილად არა გვაქვს.**



„ჯვაროსანთა“ ძომაგებს ამასწინანდელ პარიზულ საერთაშორისო ტურნირზე განცდილი ფიასკო არ გვქონდა მონელებული, სადაც მხოლოდ 2 „ბრინჯაოს“ დავჯერდით, რომ უარესი დარტყმა დიუსელდორფის „გრან-პრიზე“ მივიღეთ. ჩვენთვის ესოდენ საყვარელი გერმანული ქალაქის ტატამზე ისე დავძაბუნდით, რომ საპატიო კვარცხლბეკზე ერთხელაც ვერ აევდით, საუკეთესო შედეგი კი ამირან პაპინაშვილმა (60 კგძ და ვარლამ ლიპარტელიანმა (90 კგძ აჩვენეს – V ადგილები.

გულსატკენია საერთაშორისო სარბიელზე ოლიმპიური ჩემპიონის – ირაკლი ცირეკიძის წარუმატებელი დაბრუნებაც, რომელმაც მხოლოდ ერთი ბრძოლა მოიგო.

რაინის ნაპირებიდან ჩვენი კიმონოიანები 18-დღიან საწვრთნელ შეკრებაზე იაპონიაში გაემგზავრნენ. იქნებ მდგომარეობა ძიუდოს სამშობლოში დაღვრილმა ოფლმა გამოასწოროს.

**დიუსელდორფის „გრან-პრის“ კვარცხლბეკი**

**60 კგ.**

1. ჰიროაკი ჰირაოკა (იაპონიაძ. 2. ჯინ-მინ იანგი (კორეაძ. 3. ბოლდბაატარ განბაატი (მონღოლეთიძ და ელიო ვერდე (იტალიაძ.

**66 კგ.**

1. მასააკი ფუკუოკა (იაპონიაძ. 2. იუნ-ჰო ჩო (კორეაძ. 3. სერგეი დრებო (უკრაინაძ და მიხეილ პულიაევი (რუსეთიძ.

**73 კგ.**

1. დირკ ვან ტუჩელტი (ბელგიაძ. 2. კიოში უემაცუ (ესპანეთიძ. 3. იოსებ პალელაშვილი (ისრაელიძ და იუკი ნიშიამა (იაპონიაძ.

**81 კგ.**

1. ტრევის სტივენსი (აშშძ. 2. მურატ ხაბაჩიროვი (რუსეთიძ. 3. ელნურ მამადლი (აზერბაიჯანიძ და არსენ აშმახოვი (რუსეთიძ.

**90 კგ.**

1. მარკუს ნიმანი (შვედეთიძ. 2. რომენ ბუფე (საფრანგეთიძ. 3. მასაში ნიშიამა (იაპონიაძ და ვადიმ სინიავსკი (უკრაინაძ.

**100 კგ.**

1. მაქსიმ რაკოვი (ყაზახეთიძ. 2. დიმიტრი პეტერსი (გერმანიაძ. 3. ევგენიუს ბოროდავკო (ლატვიაძ და ლუკაშ კრაპლეკი (ჩეხეთიძ.

**+100 კგ**

1. ანდრეას ტოლცერი (გერმანიაძ. 2. კეიძი სუძუკი (იაპონიაძ. 3. რაფაელ სილვა (ბრაზილიაძ და რობერტ ციმერმანი (გერმანიაძ.

**გია პლატონიშვილი**

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**ეროვნული ჩემპიონატის XX ტურის მთავარი გმირი თბილისელი მსაჯი ლაშა სილაგავა გახდა, რომელმაც გათამაშების ერთპიროვნული ლიდერის რუსთავის „ოლიმპისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ მატჩის უკანასკნელ წუთზე, სტუმართა აზრით, არარსებული საჯარიმო დარტყმა დანიშნა მათი კარისკენ და უგულავას ქვემოქართლელთა ხსნის საშუალება მისცა – 1:1. სხვათა შორის, ამ ეპიზოდში, ასევე რიონისპირელთა შეხედულებით, გოლის ავტორი თამაშგარე მდგომარეობაში იყო...**

ზედიზედ მეორე საშინაო ბრძოლაში ჩაფლავდა თბილისის „დინამო“, რომელმაც ძვირფასი



ქულები ამჯერად მისთვის ტრადიციულად უხერხულ მეტოქესთან – „ზესტაფონთან“ დაკარგა – 0:0. შეიძლება ასეთი შეფასება ვინმეს გადაჭარბებული ეჩვენოს, მაგრამ მან ისიც გვიკარნახოს, მაშ რა ვუწოდოთ საჩემპიონო ამბიციების დასაკმაყოფილებლად სეზონის განახლების წინ ერთბაშად ათი ახალი მოთამაშის შეძენას, რასაც სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესება არ მოჰყოლია?

**გაუწყებთ იმავე დღეს გამართული დანარჩენი შეხვედრების შედეგებს:** „სიონი“ – „კოლხეთი“ 2:0 (ჩირიკაშვილი, ჯიქიაძ, „ბაია“ – „ვიტ ჯორჯია“ 1:1 (ონიანი – საკუთარ კარში, ქობალიაძ. დიდთოვლობის გამო გადაიდო „ცხინვალისა“ და „სამტრედიის“ დუელი.

„ოლიმპი“ – 41, „ზესტაფონი“ – 38, „დინამო“ – 37, „ბაია“ – 26, „სიონი“ – 24, „ტორპედო“, „ვიტ ჯორჯია“ – 23-23, „კოლხეთი“ – 22, „სამტრედია“ – 19, „ცხინვალი“ – 17 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** „ოლიმპი“ – „დინამო“, „ზესტაფონი“ – „ცხინვალი“, „ბაია“ – „ტორპედო“, „ „კოლხეთი“ – „ვიტ ჯორჯია“, „სამტრედია“ – „სიონი“.

* * *

**იტალია. XXVI ტური.** „კიევო“ – „მილანი“ 1:2, „ნაპოლი“ – „კატანია“ 1:0, „ინტერი“ – „კალიარი“ 1:0, „ლაციო“ – „ბარი“ 1:0, „ჯენოა“ – „რომა“ 4:3. ამ მარცხის შემდეგ სტუმართა თავკაცი კლაუდიო რანიერი უმუშევარი გახდა. არადა, თავიდან მისი გუნდი 3:0-ს იგებდა.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მილანი“ – 55, „ნაპოლი“ – 52, „ინტერი“ – 50, „ლაციო“ – 48 ქულა.

**შემდეგი ტური:** „მილანი“ – „ნაპოლი“, „სამპდორია“ – „ინტერი“, „კალიარი“ – „ლაციო“.

**ესპანეთი. XXIV ტური.** „ბარსელონა“ – „ბილბაო“ 2:1, „რეალი“ – „ლევანტე“ 2:0, „ვალენსია“ – „ხიხონი“ 0:0, „ვილიარეალი“ – „მალაგა“ 1:1, „ოსასუნა“ – „ესპანიოლი“ 4:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“ – 65, „რეალი“ – 60, „ვალენსია“ – 48, „ვილიარეალი“ – 46 ქულა.

**შემდეგი ტური:** „მალიორკა“ – „ბარსელონა“, „დეპორტივო“ – „რეალი“, „ბილბაო“ – „ვალენსია“, „რასინგი“ – „ვილიარეალი“.

**გერმანია. XXIII ტური.** „ბორუსია“ – „სანკტ პაული“ 2:0, „ლევერკუზენი“ – „შტუტგარტი“ 4:2, „მაინცი“ – „ბაიერნი“ 1:3, „ჰანოვერი“ – „კაიზერი“ 3:0, „ჰამბურგი“ – „ვერდერი“ 4:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბორუსია“ – 55, „ლევერკუზენი“ – 45, „ბაიერნი“ – 42, „ჰანოვერი“ – 41 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ბაიერნი“ – „ბორუსია“, „ვერდერი“ – „ლევერკუზენი“, „სანკტ პაული“ – „ჰანოვერი“.

**საფრანგეთი. XXVI ტური.** „მონპელიე“ – „ლილი“ 1:0, „ტულუზა“ – „რენი“ 1:2, „მარსელი“ – „სენტ ეტიენი“ 2:1, „ლიონი“ – „ნანსი“ 4:0, „ნიცა“ – „პსჟ“ 0:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლილი“ – 45, „რენი“ – 43, „მარსელი“ – 42, „ლიონი“, „ პსჟ“ – 41-41 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ლილი“ – „ლიონი“, „რენი“ – „ლანსი“,„ნანსი“ – „მარსელი“, „პსჟ“ – „ტულუზა“.

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# ლიდერის როლი



**სუპერლიგის მორიგი ტურის საუკეთესო მოთამაშედ თსუ-ს ცენტრალური თავდამსხმელი ილია ლონდარიძე დასახელდა, რომელიც „სამედიცინოსთან“ სტუდენტურ დერბიში პარტნიორებს 23 ქულითა და 19 მოხსნით შეეწია – 87:71.**

ვფიქრობთ, ჟიურის არჩევანი, მეტოქეთა წონითი კატეგორიების გათვალისწინებით, სავსებით გამართლებულია, თორემ იმავე დღეს უკეთესი პირადი მონაგრით, ოღონდ წაგებულ მატჩში შსს-ს გუნდთან „ბათუმის“ სნაიპერი დუდა სანაძე გამოირჩა – 29 ქულა (75:91ძ.

უჩვეულოდ სუსტად ითამაშა გათამაშების ერთპიროვნული ლიდერის – „არმიის“ წინააღმდეგ სტუ-ს კაპიტანმა ბექა ჩიკვილაძემ – 8 ქულა, თუმცა ლომოურის ძალისხმევით ზურაბ ტომარაძის შეგირდები მესამე პერიოდის შუაწელამდე ღირსეულად უმკლავდებოდნენ მრისხანე მოწინააღმდეგეს – 47:42. მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდნენ ფავორიტთა ყოჩები ბაბიაშვილი (22 ქულაძ, ტულუში, ბოისა, 10-წუთიანი მონაკვეთი 22:0(!ძ მოიგეს და მატჩის ბედიც გადაწყვიტეს – 82:54.

ანალოგიურად განვითარდა მოვლენები რუსთავშიც, სადაც „სოხუმმა“ აინარ ბაგატსკისის თავკაცობით პირველი გამარჯვება მოიპოვა „ენერჯი ინვესტთან“ – 73:55. აღსანიშნავია, რომ დასკვნით პერიოდში ზღვისპირელებმა 27:7 იძალეს.

რა ბოლოს, „დინამოს“ გამოჯანმრთელებული მთავარი მწვრთნელი დავით თორთლაძე დაუბრუნდა, მაგრამ „სასოფლოსთან“ შეგირდებს ვერც მან უშველა – 70:80.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ტრადიცია

# არის ასეთი ტურნირი

**ბაკურიანში გაიმართა ჟურნალისტთა ტრადიციული სათხილამურო ტურნირი – „ნიამორის თასის“ გათამაშება, რომლის ორგანიზატორიც ჩვენი კოლეგა თამარ ჯიშკარიანი გახლავთ.**

როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში წლეულს ბადალი არ ჰყავდათ ტელეკომპანია „იმედის“ წარმომადგენლებს, რომლებმაც ესტაფეტა და გარდამავალი თასი „რუსთავი-2“-დან გადაიბარეს.

რაც შეეხება საუკეთესო შედეგს, იგი მამუკა გოგლიძემ და ნანუკა ხაზარაძემ აჩვენეს.

**საკუთარი ინფორმაცია**

ინტერნეტიდან

## მოკლეს „დეპორტივოს“ ვიცე-პრეზიდენტი

**გვატემალაში ორმა უცნობმა მოკლა ფეხბურთის კლუბის „დეპორტივო ჰინაბახულის“ ვიცე-პრეზიდენტი. პოლიციის განცხადებით, კარლოს ნოე გომესი მიახვრიტეს პარასკევ-საღამოს ქალაქ ხუეხუეტენანგოში ფეხბურთის კლუბის ხელმძღვანელებთან შეხვედრის შემდეგ. რამდენიმე კვირით ადრე მან მიიღო მუქარის ანონიმური წერილი. თუ ვინ იდგა ამ დანაშაულის უკან, პოლიციამ ჯერჯერობით არ იცის. თუმცა იციან, რომ იყო ორი მამაკაცი, რომელიც გომესს ელოდებოდა.**





„დეპორტივო ჰანაბახული“ ბოლო ადგილზეა ეროვნულ ჩემპიონატში. გასულ კვირაში ის კიდევ ერთხელ დამარცხდა თავის სტადიონზე.

გვატემალის ფეხბურთის ლიგამ უკვე დაგმო ეს დანაშაული და





მოითხოვა დამნაშავეთა გამოვლინება. შარშან ნოემბერში ასევე მოკლეს პირველი დივიზიონის ფეხბურთელი ვასკეს მერსტესი, რომელიც პაკეტებში დანაწევრებული იპოვეს.

## 24 საათი — საოპერაციო მაგიდაზე

**როგორც იტალიიდან იტყობინებიან, ქალაქ პეტრა-ლეგურის კლინიკაში Santa Corona 8 საათის განმავლობაში ოპერაციას უკეთებდნენ 6 თებერვალს ავტოავარიაში მოხვედრილ „რენოს“ მრბოლს, 26 წლის პოლონელ პილოტს რობერტ კუბიცას. ეს მოხდა რალიზე Ronde di Andora ეს იყო მესამე და ბოლო ოპერაცია, რომლის დროსაც რეკონსტრუქცია გაუკეთეს და დააფიქსირეს დამსხვრეული მარჯვენა იდაყვის ძვლები.**

ექიმების განცხადებით, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. და ახლა კუბიცამ, თუმცა ის ჯერ ისევ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაშია, უნდა დაიწყოს რეაბილიტაციის პროგრამა. ავარიის შემდეგ პოლონელმა პილოტმა საოპერაციო მაგიდაზე 24 საათი გაატარა.



◎ კინოსცენარის ვარიანტი

# თოვლიანი დილა ძველთბილისურ ეზოში



სოლოლაკი. ძველთბილისური ეზო. ჩანს, რომ წუხელ ხვავრიელად უთოვია. ყინულის ლოლუები ჩურჩხელებივით ჩამოგრძელებულან ძველი სახურავებიდან.

შუშაბანდიანი ბინის პირველი სართული. სახლში ორნი არიან – ხანშიშესული ცოლ-ქმარი საბანში გახვეულა. კაცს ღვიძავს. ადგომა ეზარება. წუხელ დენი გამოირთო და ვინ იცის, როდის მოვა. გაზიც გაითიშა, შეშაც შემოელიათ ფეჩისთვის, პენსიის ფულიც ფა...ფუ... ვაჟიშვილი ცალკე ცხოვრობს ცოლ-შვილით, მაგრამ გამოივლის დღეს?.. წესით უნდა მოვიდეს, იქნებ შვილიშვილიც გამოიყოლოს... თუმცა, არა, არა... არ გაუცივდეთ ბავშვი ამ თოვაში და უტრანსპორტობაში.

კაცი ხველებ-ხველებით დგება, ნელ-ნელა იცვამს, ცოლიც იშმუშნება, ეღვიძება. „ნიკო, გადი საბურთალოზე და მოგცემს ნოდარი შეშის ფულს... ასე, რაფერ უნდა ვიყოთ?“.

„აბა, ნახე ერთი, გაიხედე გარეთ რამხელა თოვლი დევს... ალბათ ტრანსპორტიც არ მოძრაობს... ფეხით ჩავიდე საბურთალოზე?.. დავვარდები სადმე და გეტირება ყოფა“, – ბუზღუნებს კაცი, – „რაღაცა გამოჩნდება, ღმერთია მოწყალე... ნავთქურაში, მგონი, არის ცოტა ნავთი, ჩაის ავადუღებ“.

„კაი, კაი, მე ავდგები და დავადგამ“, – ქალი საწოლს აჭრაჭუნებს, წამოდგომას აპირებს.

* * *

ნიკო ბინაში შესასვლელი კარებიდან ეზოს ჭიშკრისკენ ნიჩბით თოვლს კვალავს. მეორე სართულიდან მეზობელი ესალმება: „როგორა ხარ, ნიკო!“ „მიშას გაუმარჯოს!.. ვჯობივარ ჩემზე უარესს. ნეტაი დენს ჩართავენ?!“ „ვინ იცის, აბა!“

ნიკო გაკვალვას ამთავრებს, ტროტუარზე გადის. ქუჩაში სიწყნარეა. გვერდით უპატრონო ძაღლმა ჩაურბინა. ნიკო თვალს აყოლებს და მოულოდნელობისგან სახე უშეშდება – ქუჩის მეორე მხარეს ვეებერთელა აკაციის ხე წაუქცევია წუხანდელ თოვლს. ნიკოს სახე უნათდება: „ხომ ვთქვი, ღმერთია მოწყალემეთქი“.

* * *

ნიკო და მისი ორი მეზობელი აკაციის ხეს უტრიალებენ, ტოტებს ჭრიან, სხეპავენ და იქვე აწყობენ.

„სამჯერ დავრეკე მერიაში, გამხმარია ჩვენს ქუჩაზე აკაცია, წააქცევს ქარი და ვინმეს რამეს მოწევს, მოდით, მოჭერით-მეთქი... სულზე არ მომისწრო?!. აღარც შეშა მქონდა, აღარც ფული!..“ – ამბობს ნიკო. „მაღარიჩი შენზეა, მაღარიჩი“, – ეპასუხება ახალგაზრდა კაცი და მოზრდილ ტოტს ნაჯახით აპობს.

„რად უნდა მაგას ლაპარაკი... კაი კახური ჭაჭა მაქვს... ცოტა ყველი, ცოტა პამიდვრის მწნილი... მგონი შაშხიც მოეძევება ნელის!..“

„რაღაცებს ჩვენც მივუმატებთ, ნუ გეშინია“, – ეუბნება მეორე, სპორტული ქუდი ყურებამდე რომ ჩამოუფხატავს.

მეზობლის ბიჭები – ათი-თორმეტი წლის ყმაწვილები თავს წამოადგნენ, თვალს ადევნებენ უფროსების საქმიანობას. „შოთიკო, ბაბუ, მოდი, შენს გაზრდას, რამდენიმე ღერი შეშა წაუღე ნელი ბებოს... არ გამოგვეყინოს, კაცო“, – ეუბნება ნიკო ერთ-ერთ ყმაწვილს. ისიც უმალ იწყობს მკლავზე შეშის ნაჭრებს, დანარჩენებიც მისცვივდებიან, ფაციფუცობენ, მკლავზე იწყობენ, მკერდზე იხუტებენ ნაჭრებს და მიაქვთ.

„ჩემთანაც შეიტანეთ, ბიჭებო!.. და მერე გაქეიფებთ, იცოდეთ!“ – ხმას ადევნებს ყმაწვილებს სპორტულქუდიანი.

* * *

შუა ეზოში ცეცხლი გუზგუზებს. სახელდახელო მაგიდაა გაშლილი, ზედ რამე-რუმე საჭმელები აწყვია, იქვეა არყიანი ბოთლი. მეზობლები – ათიოდე კაცი – ახალგაზრდა, ხანშიშესული – მაგიდის გარშემო დგანან, ზეზეულად შეექცევიან, საარყე ჭიქებს ერთმანეთს უჭახუნებენ, დიდი ჭიქებით კი ლიმონათს აყოლებენ. ისმის: „ჩვენს მეზობლობას გაუმარჯოს!..“, „ღმერთის წყალობა არ მოგვეშალოს!..“

ახალგაზრდა კაცი უახლოვდებათ, შეშით სავსე ტომარა მკერდზე მიუხუტებია და ნელ-ნელა აბიჯებს, ფეხი რომ არ დაუცდეს გადათოვლილ ბილიკზე. „ვა, ნოდარს გაუმარჯოს... დაგაგვიანდა, მამაშენმა მუქთად იშოვა შეშა“ – ეუბნება ერთ-ერთი მეზობელი. ნოდარი შეშით სავსე ტომარას ბინის კარებთან აყუდებს და მეზობლებთან მიდის. არყით სავსე ჭიქას აწვდიან. ნიკოს კმაყოფილი სახე აქვს. „სანამ შენ მოხვიდოდი, ღმერთმა უწყალობა მამაშენს შეშა“, – მხარზე ხელს ხვევს რომელიღაცა, – „კაი ბიჭი ხარ, ჩვენო ნოდარ!.. აი, მშობლებზე ფიქრმა რომ არ მოგასვენა, მაგიტომ გაგიმარჯოს!..“

– „თქვენც გაგიმარჯოთ, ძველთბილისურ მეზობლობას გაუმარჯოს! ამ გაუკუღმართებულ დროს გულები არ გაეცივებინოს ჩვენთვის! იცოცხლეთ“!.. – ილოცება ნოდარი.

ცეცხლი კი გუზგუზებს შუა ეზოში.

ვილენ მარდალეიშვილი

## განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის **გამოფენისა და განათლების დეპარტამენტის** მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად (თანამდებობრივი სარგო – 360 ლ.ძ;

2. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობების დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის ან დოქტორის აკადემიური ხარისხი, ან არის დოქტორანტი.

3. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ. ავტობიოგრაფია (CVძ;

გ. დასაკავებელი თანამდებობისთვის აუცილებელი შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (დოქტორანტებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდანძ;

დ. 2006-2010 წლებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე. 2006-2010 წლებში გამოქვეყნებული 1 სამეცნიერო ნაშრომის ორიგინალი ან ასლი, რომელიც, განმცხადებლის აზრით, ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალსა და კვლევის უნარს;

ვ. ჩამონათვალი და მოკლე აღწერილობა იმ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა, რომელიც შეასრულა განმცხადებელმა 2006-2010 წლებში (არაუმეტეს 2 გვერდისაძ;

ზ. ჩამონათვალი და მოკლე აღწერილობა იმ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა, რომლის შესრულებასაც აპირებს განმცხადებელი უახლოესი სამი წლის განმავლობაში (არაუმეტეს 2 გვერდისაძ;

თ. შესაბამისი დარგის 3 სპეციალისტის საკონტაქტო ინფორმაცია (სახელი, გვარი, ტელეფონიძ, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს;

4. საჭიროების შემთხვევაში საკონკურსო კომისია ატარებს გასაუბრებას კონკურსანტებთან.

5. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე ცენტრის დირექტორი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას 3 წლის ვადით.

6. საბუთების მიღება იწარმოებს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მისამართი: მ. ალექსიძის 1/3, მეორე სართული, კანცელარია;

7. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა **2011 წლის 22 მარტი, 18 სთ.**

8. კონკურსის შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს **2011 წლის 31 მარტისა.**

9. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 0193 თბილისი, მერაბ ალექსიძის 1/3; ტელ.: 36 40 94, ფაქსი: 36-32-41; ვებ-გვერდი: www.manuscript.ge

ელ-ფოსტა: info@manuscript.ac.ge; პასუხისმგებელი პირი: **ნინო სიბოშვილი.**

## ხსოვნა

# ზურაბ ლეჟავა



წავიდა ჩვენგან ბრწყინვალე პიროვნება, შესანიშნავი ხელოვანი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, კეთილშუნებოვანი ვაჟკაცი – ბატონი ზურაბ ლეჟავა. საქართველოს სახალხო მხატვარი, პროფესორი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრი, მრავალი ჯილდოსა და პრემიების ლაურეატი.

საზოგადოება მას იცნობდა როგორც მხატვარსა და კინომსახიობს. მის შემოქმედებას სიყვარული უძღოდა წინ. ეს ნათლად ჩანს ზურაბ ლეჟავას დაზგურ გრაფიკაში, სადაც იგი ადამიანის მაღალ გრძნობებზე გვესაუბრება.

ზურაბი იყო მოყვასისადმი დიდი სიყვარულის გამომხატველი, გამზიარებელი ჭირისა. მისმა ბუნებამ განაპირობა ის, რომ წლების მანძილზე იგი იყო მხატვართა კავშირის თავმჯდომარე და ამავე დროს სამხატვრო აკადემიის პედაგოგი. მან იცხოვრა იმ კეთილშობილური ტრადიციებით, რომლებიც მშობლებმა გადასცეს. უმთავრესი კი მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში სამშობლოს სიყვარული იყო.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი დიდ გულისტკივილსა და სინანულს გამოხატავს ბატონ ზურაბ ლეჟავას გარდაცვალების გამო, სამძიმარს უცხადებს მის ვაჟს – ბატონ სამსონ ლეჟავას, ოჯახსა და ახლობლებს.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მერაბ ბერძენიშვილი



საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მსახიობი

გია ლეჟავა

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება

---

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ მანანა კვირიკაშვილსა და გოდერძი ბუკიას

გია (გრიგოლძ კვირიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

შპს „მგ კომპანიის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გია (გრიგოლძ კვირიკაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახსა და ახლობლებს.

---

სპარტაკ ქობულია ოჯახით თანაუგრძნობს მანანა კვირიკაშვილსა და გოდერძი ბუკიას

გია კვირიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ზაურ და რუსუდან საგანელიძეები ოჯახით თანაუგრძნობენ მანანა კვირიკაშვილსა და გოდერძი ბუკიას

გია (გრიგოლძ კვირიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ნუნუკა გურალია, შვილები რუსუდანი, თამარი, ქეთევანი, სიძეები გია ფირცხელაიშვილი და ნიკოლოზ კაკაშვილი, შვილიშვილები და უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვალერი ვასილის ძე ურუშაძე

პანაშვიდი 22, 23 II, 16 სთ. ქ. თბილისი დიდი დიღომი, დიმიტრი თავდადებულის ქ. № 14, ბინა 18, გამოსვენება 24 II, 14 სთ.

---

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

ზურაბ თოდუა

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ქალთა საბჭო და ქალაქ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა მწუხარებით იუწყებიან ცისანა ქოჩეჩაშვილის დის

ლიანა ქოჩეჩაშვილი-ჯაფარიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 22 II, 14 სთ. მისამართი: მირცხულავას ქ. 3ა.

---

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, აკად. კ. ვ. ჩაჩავას სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კლინიკის ყოფილ თანამშრომელს, მედიცინის დოქტორს გურამ ყურაშვილს გარდაეცვალა მეუღლე

ეთერ მაისურაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## დაიჯესტი

## აი, პრეზიდენტობას მოვრჩებით და...



მთელი საფრანგეთი იმას ლაპარაკობს, რომ პრეზიდენტსა და მის მეუღლეს საყვარლები ჰყავთ.

ისინი ყოველთვის ერთმანეთისგან დიდად განსხვავებული ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ: 165 სანტიმეტრის სიმაღლის სუპერამბიციური პოლიტიკოსი ნიკოლა სარკოზი და მოდური სუპერმოდელი და მომღერალი კარლა ბრუნი. ახლა კი, ჩანს, მათ ერთი საერთო რამ მაინც აღმოაჩნდათ — ესაა ცოლქმრული ღალატი, ირწმუნება პარიზული „ჟურნალ დიუ დიმნაში“.

მოარული ჭორით, 56 წლის პრეზიდენტს რომანი აქვს გაბმული ეკოლოგიის 40 წლის მინისტრ შანტალ ჟუანოსთან, რომელიც თან კარატეში ქვეყნის ჩემპიონია. საფრანგეთის 43 წლის პირველი ქალბატონი კი, როგორც ამბობენ, 37 წლის მუსიკოს ბენჟამინ ბელეის დიდი ხანია ყვარობს. ამბობენ იმასაც, რომ ისინი ახლაც ერთად ცხოვრობენ მსიე ბელეის პარიზულ ბინაში და, საერთოდაც, ცოლქმრული ღალატი პირველმა კარლამ დაიწყო.

ჭორები იმის თაობაზე, რომ სარკოზი და ბრუნი მაშინვე გაეყრებიან, როგორც კი ელისეს სასახლის დატოვება მოუწევთ, დიდი ხანია დადის. ახლა კი, ფრანგული პრესის მოწმობით, პრეზიდენტის ოჯახის კერია თითქმის მიინავლა.

სხვათა შორის, ერთხელ კარლამ ინტერვიუში განაცხადა, რომ მონოჟამია, მისი აზრით, „ერთობ მოსაწყენი რამაა“. სხვადასხვა დროს მისი საყვარლები იყვნენ მუსიკოსები მიკ ჯაგერი და ერიკ კლაპტონი, მილიარდერი დონალდ ტრამპი და მწერალი ჟან-პოლ ენტჰოვენი.



სხვათა შორის, მწერალი კარლამ მისი შვილის, ფილოსოფოსის რაფაელის გამო მიატოვა, რომელმაც მერე თავად მიატოვა კარლა მას შემდეგ, რაც მან ვაჟიშვილი გაუჩინა.

როგორც ჩანს, მონოჟამია ასევე ნიკოლა სარკოზისთვისაცაა მოსაწყენი: ბრუნიმდე მას ორი ცოლი ჰყავდა. თანაც მეორე ცოლს, სესილიას, იგი მაშინ ხვდებოდა, როცა კორსიკელი მარი-დომინიკ კიულიოლი ჯერ კიდევ მისი პირველი ცოლი იყო.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7642 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3923 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8594 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0469 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## სინიორა დელ ჯოკონდოს დაუვიწყარი ღიმილი

**არ არის, ალბათ, ქვეყანაზე სხვა, მასზე უფრო სახელგანთქმული მხატვრული ტილო, ვიდრე „მონა ლიზაა“.**

**იგი მშვიდად და გამართულად ზის სავარძელში. მარცხენა ხელი სახელურზე აქვს ჩამოდებული, მარჯვენა — მარცხენას ადევს. მორიდებული პოზა, ნათელი სახე, დაუვიწყარი თვალები აქვს.**

**და ღიმილი, ჯოკონდას საქვეყნოდ ცნობილი ღიმილი.**

დროთა განმავლობაში საღებავები გამუქდა და გახუნდა, წვრილ ბზართა ბადემ ტილოს მთელი ზედაპირი დაფარა. მიუხედავად ამისა, შთაბეჭდილება მისი ხილვისას გამაოგნებელია...

XVI საუკუნის მხატვარმა და ხელოვნების ისტორიის მცოდნემ ვაზარიმ, რომელმაც მრავალი დიდი მხატვრის ცხოვრების აღწერა დაგვიტოვა, წერდა: **„... ბაგეები ისე ბუნებრივადაა დახატული, რომ ფერწერას დაგავიწყებთ. კისრის ჩაღრმავებასთან, ვინც მას გულმოდგინედ დაათვალიერებს, გულის ძგერას შეიგრძნობს. საერთოდაც, შეიძლება ითქვას, რომ სურათი ისეა დახატული, რომ როგორიც გნებავთ თვითდაჯერებული მხატვარი, მისი დანახვისას უნდა ძრწოდეს და ეშინოდეს...“**



ვაზარი იმასაც წერდა, რომ ლეონარდო და ვინჩი, რომელიც ულამაზესი ლიზას პორტრეტს ქმნიდა, ცდილობდა, რომ იგი სულ კარგ ხასიათზე ყოფილიყო: მას უმღეროდნენ, ენამოსწრებულობითართობდნენ. ეს იმისთვის იყო საჭირო, რომ მოდელს დიდი ხნის ჯდომისგან ასეთ დროს ჩვეული შებოჭილობა არ დატყობოდა. ვაზარის მტკიცებით, **„სწორედ ასე შეძლო მხატვარმა იმ არაჩვეულებრივი ღიმილის გადმოცემა, რომლის ხილვისას არა მიწიერ, არამედ ზეციურ სიხარულს განიცდით...“**

ვაზარის მოწმობით, ლეონარდო და ვინჩიმ პორტრეტი 1503-1505 წლებში შექმნა. 1913 წელს კი, ფლორენციის უფიცის გალერეის მაშინდელმა დირექტორმა ჯოვანი პოჯიმ ფერწერული ტილოს გმირის შესახებ ზოგიერთი დამატებითი ბიოგრაფიული ცნობა მოიძია.

ლიზა დი ანტონიო მარია დი ნოლდო გერარდინი ფლორენციის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი გვარის შვილი იყო. იგი 1479 წელს დაიბადა. სულ ახალგაზრდა მასზე ორჯერ უფროს ფრანჩესკო დი ბარტოლომეს და ძანობი დელ ჯოკონდოს გააყოლეს ცოლად. 1499 წელს ეს მარტო საკუთარი საქმეებით დაკავებული ვაჭარი ფლორენციის რესპუბლიკის ერთ-ერთი უხუცესთაგანი იყო. ამბობდნენ, რომ როგორც პიროვნება, დელ ჯოკონდო არაფრად გამოირჩეოდა, მაგრამ საქმეებში იღბალი ჰქონდა. ფლორენციაში ყველამ იცოდა, რომ მონა ლიზა მას სიყვარულით არ გაჰყოლია. იგი, უბრალოდ, მამის ნებას დაემორჩილა, რომელსაც უფრო ქორწინების საფინანსო მხარე და საქმიანი კავშირების გაბმა აღარდებდა. იმასაც ამბობდნენ, რომ კაცი, რომელიც მონა ლიზას უყვარდა, ბრძოლის ველზე დაიღუპა.

იმ დროისთვის, ლეონარდო და ვინჩიმ მის პორტრეტზე მუშაობა რომ დაიწყო, მონა ლიზა 24 წლისა იყო, ფლორენციაში კი მას მორიდებულ, მშვიდ, დიდად პატივსაცემ ქალბატონად იცნობდნენ. იგი ახალგაზრდა გარდაიცვალა. ლეონარდოს მიერ მისი პორტრეტის დახატვიდან რამდენიმე წელიწადში, მონა ლიზა მეუღლესთან ერთად იტალიის სამხრეთში გაემგზავრა, გზაში ავად გახდა და დაბა ლაგონეროში დალია სული.

## ცნობისმოყვარეთათვის

## სად, რა, როდის?

**● მიქელანჯელოს ქანდაკება „დავითი“, რომელიც ფლორენციის მოედნის შუაგულში უნდა დაედგათ, ფლორენციის მმართველმა დაიწუნა, ცხვირი აქვს დიდიო. მიქელანჯელომ ხელი მოჰკიდა საჭრეთელს და ყველამ იხილა, როგორ ცვიოდა ძირს ქვის მტვერი. სამუშაო მალე დამთავრდა და მმართველი კმაყოფილი დარჩა, სინამდვილეში კი ცხვირი ოდნავადაც არ შეცვლილა, რადგანაც მიქელანჯელო ფლორენციის მმართველის თვალის ასახვევად მალულად წინასწარ მომარაგებულ მტვერს ყრიდა.**

**● ტელეარხმა „დისქავერიმ“ ერთ-ერთ გადაცემაში აჩვენა ამერიკელი მათხოვარი, რომელიც იჯდა ყულაბით ხელში და მღეროდა, კისერზე კი ჩამოკიდებული ჰქონდა წარწერა: „მაჩუქეთ 25 ცენტი და გავჩუმდები“.**

**● მიწისძვრების პროგნოზირებისათვის ორიგინალური ხერხი მოიგონა ამერიკელმა გეოლოგმა ჯიმ ბერკლენდმა: ის ყოველდღიურად კითხულობს კალიფორნიულ გაზეთებს, სადაც ქვეყნდება ცნობები დაკარგული ძაღლების, კატებისა და სხვა შინაური ცხოველების შესახებ და თუ შემთხვევები მატულობს, მიწისქვეშა ბიძგებს წინასწარმეტყველებს და თითქმის არასოდეს ცდება. ბერკლენდის აზრით, ცხოველები წინასწარ გრძნობენ მიწისძვრას და ამიტომაც გარბიან სახლიდან.**

**● დეკარტის კოორდინატთა სისტემა პირველად გამოიყენეს თეატრში ადგილების დასანომრად.**

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | 0 — +4 |
| ქუთაისი. | +3 — +4 |
| ბათუმი. | +2 — +5 |
| ზუგდიდი. | -1 — +4 |
| თელავი. | 0 — +6 |

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

— ექიმო მიშველე, თვალებში სულ ფერად-ფერადი რგოლები მიბრჭყვიალებს!

— კარგი, რომელ ფერზე დაგიყენო?

* * *

შვილი ბუზი ეკითხება დედაბუზს:

— მიქელ-გაბრიელი შავია თუ ცელი უჭირავს ხელში?

— არა, შვილო, მიქელ-გაბრიელი მსუქანია, მელოტი და ხელში დაკეცილი გაზეთი უჭირავს.

* * *

კაცი ტყის გავლით მიდიოდა. წინ პისტოლეტიანი ქალი გადაუდგება და დაუყვირებს:

— შენ რა, ჩემი გაუპატიურება გინდოდა?



შეშინებულმა კაცმა ხმის კანკალით ჩაილუღლუღა:

— რას ამბობთ, ქალბატონო, ჩემს გზაზე მივდიოდი, არც მიფიქრია...

— ჰოო, მოგიწევს, საყვარელო, მოგიწევს!

* * *

— იცი, მეზობელო, წუხელ შენი ცოლი დამესიზმრა.

— მერე, რა გითხრა?

— არც ერთი სიტყვა არ უთქვამს.

— ესე იგი ჩემი ცოლი არ ყოფილა.

* * *

გოგონი, ჩემთან ერთად კინოში წამოხვალ?

— არა, — უპასუხა გოგომ.

— არ იფიქროთ, რომ ყველა გოგოს ვეპატიჟები კინოში.

— მეც ყველა ბიჭს კი არ ვეუბნები უარს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.